პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ოთხშაბათი
11 ოქტომბერი
1939 წ.
№ 234 (5634)
ფასი 10 კაპ.

საუკეთესოდ გამოვაზამთროთ ციტრუსოვანები და ტუნგო

ციტრუსოვანთა ბაღნარში საუკეთესო მოსავალი მწიფდება. კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები გმირული შრომით წელს ციტრუსების კარგ მოსავალს მოელიან. ციტრუსოვანთა და ტუნგოს მოსავლიანობის შემდგომი გადიდებისათვის საჭიროა ამ კულტურების ნარგავთა მოვლა-პატრონობას სერიოზული ყურადღება მიექცეს. წელს სუსხიანი ზამთარია მოსალოდნელი. ყოველივე ეს გვიკარნახებს ამთავითვე შევუდგეთ ყინვებისაგან ციტრუსებისა და ტუნგოს ნარგავების დაცვას და ყველა ზომა მივიღოთ მოვლის კიდევ უფრო გასაუმჯობესებლად. საქ. კ. პ. (ბ) XI ყრილობაზე ციტრუსოვანთა განვითარების საკითხზე ამხანაგი **ლ. ბერია** ამბობდა: „ზოგიერთი ამხანაგი ფიქრობს, რომ მთელი ამოცანა მდგომარეობს პლანტაციების გაშენების გეგმის შესრულებაში. განა საჭიროა ლაპარაკი იმაზე, თუ რამდენად არ არის ეს სწორი. პლანტაციის გაშენება, ბოლოსდაბოლოს, არც თუ ისე ძნელი საქმეა. ყველაზე მნიშვნელოვანია უზრუნველვყოთ შემდეგ პლანტაციების სისტემატური ყოველდღიური მოვლა ყველა საჭირო აგროწესთა დაცვით". მოწინავე კოლმეურნეობანი და საბჭოთა მეურნეობანი იძლევიან ციტრუსოვანთა და ტუნგოს მოვლის საუკეთესო მაგალითებს. მათ კარგად ესმით, რომ ყინვებისაგან მცენარის დაცვა უნდა სწარმოებდეს მთელი წლის განმავლობაში. და ისინი ურყევად ატარებენ ყველა აგროტექნიკურ ღონისძიებას. მახარაძის რაიონის სოფ. ნატანების ბერიას სახელობის, სოფ. შრომის ორჯონიკიძის სახელობის, ზუგდიდის რაიონის სოფ. ორსანტიის გეგეჭკორის სახელობის, ბათუმის რაიონის სოფ. მახინჯაურის კაგანოვიჩის სახელობის და მთელმა რიგმა სხვა კოლმეურნეობებმა საუკეთესოდ ჩაატარეს საგაზაფხულო სამუშაოები და ამით ციტრუსოვანები და ტუნგო მომზადეს ზამთრისათვის.

მაგრამ ზოგან უგულებელჰყოფენ ელემენტარულ აგროტექნიკურ ჭეშმარიტებას საგაზაფხულო სამუშაოთა დაწესებულ ვადებში და მაღალხარისხოვნად ჩატარების შესახებ. მაგალითად, წალენჯიხის რაიონის და აფხაზეთის ასსრ მთელმა რიგმა კოლმეურნეობებმა წელს ციტრუსოვანთა ნარგავებში ორგანული სასუქი მაისსა და ივნისში შეიტანეს, როცა ეს სამუშაო 1 აპრილისათვის უნდა დამთავრებინათ. ასევე მოიქცა ჩაქვის ჩაის საბჭოთა მეურნეობა. მახარაძის ლანჩხუთის, რაიონებსა და აჭარის ასსრ ზოგიერთ კოლმეურნეობაში დაარღვიეს ფოსფოროვანი სასუქის შეტანის ვადები. ზუგდიდის რაიონის სოფელ ანაკლიის ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში და გუდაუთის რაიონის სოფელ კულანურხვის კოლმეურნეობა „სოვეტსკაია აბხაზიაში" საგაზაფხულო სამუშაოების გაჭიანურებით შეასუსტეს ყინვისადმი მცენარის გამძლეობა. ეს ყოვლად შეუწყნარებელია.

საჭიროა ერთხელ და სამუდამოდ აღიკვეთოს მავნე პრაქტიკა, როცა გასულ წლებში ზოგიერთი კოლმეურნეობათა და საბჭოთა მეურნეობა ყინვებისაგან დაცვის პირდაპირ ღონისძიებებს დეკემბერსა და იანვარში ატარებდა. სუბტროპიკული რაიონების პარტიული, საბჭოთა და სამიწათმოქმედო ორგანოების გადაუდებელი ამოცანაა ამთავითვე შეუდგნენ მცენარის ყინვებისაგან დაცვის სამუშაოებს და არავითარ შემთხვევაში არ დაუშვან მათი გაჭიანურება.

ცნობილია, რომ შემოდგომასა და ზამთარში ნიადაგში სინესტის დიდი რაოდენობით დაგროვება ყინვებისაგან ციტრუსოვანი ხის გამძლეობის შემცირების ერთერთი მიზეზია. ამიტომ სადრენაჟო ქსელის დროულად და სწორად მოწყობას სამიწათმოქმედო ორგანოებმა დიდი ყურადღება უნდა მიაქციონ.

ჯანსაღი მცენარე და მასზე მავნებლების არარსებობა ადიდებს ნარგავის ყინვაგამძლეობას. ეს გვიკარნახებს შემოდგომა - ზამთრის წამლობა ჩავატაროთ ზუსტად და ყველა წესის დაცვით.

ყინვებისაგან ციტრუსოვანთა დაცვის ერთერთი მნიშვნელოვანი ღონისძიებაა სილის შემოყრა მცენარის შტამბზე 25-30 სანტიმეტრის სიმაღლეზე. ბევრგან ამ ღონისძიებას ზერელედ უყურებენ. ეს კი საზიანოა საქმისათვის. კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელებმა ყველა ზომა უნდა მიიღონ სილის ამთავითვე მოსამარაგებლად.

ყინვებისაგან დაცვის ერთერთი სერიოზული ღონისძიებაა მცენარის შეფუთვა. უნდა შეიფუთოს ლიმონი, ფორთოხალი, მანდარინის ახალგაზრდა ნარგავები, ტუნგოს ერთწლიანი ნარგავები. კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა ყველაფერი უნდა გააკეთონ იმისათვის, რომ აქედანვე შეუდგნენ საჭირო მასალის მომზადებას.

მთელი სერიოზულობით უნდა ჩავატაროთ ციტრუსოვანთა ნარგავების გადატანა ფარდულებში. ნერგის ამოღებისას არ დავუშვათ ფესვთა სისტემის მექანიკური დაზიანება. ფარდულები უზრუნველვყოთ ტრანშეებით და მოვაწყოთ შიგ ღუმელები. ფაქტია, რომ ზოგან ციტრუსოვანთა ნერგებს ცუდად უვლიან. ამის გამო ლანჩხუთის რაიონში 8 ათასი ძირი ნერგი განადგურდა, აჭარის მიწსახკომის საბჭოთა მეურნეობების ტრესტის ხაზით — თითქმის ამდენივე. ასეთი რამ შემდეგში არავითარ შემთხვევაში არ უნდა განმეორდეს.

ამ დღეებში საქმიწსახკომში შემდგარმა რესპუბლიკურმა თათბირმა ყინვებისაგან ციტრუსოვანთა და ტუნგოს დაცვის ინსტრუქციაში შეიტანა შესწორებანი და დამატებანი. სამიწათმოქმედო ორგანოებმა უნდა უზრუნველჰყონ ამ ინსტრუქციის გაცნობა კოლმეურნეებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშებისათვის და მისი ურყევად გატარება.

ციტრუსოვანთა მოვლის გაუმჯობესების საქმეში დიდი როლი ეკუთვნის ჩაის მეურნეობისა და სუბტროპიკული კულტურების ანასეულის სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტს. უნდა ითქვას, რომ ამ მხრივ ინსტიტუტი ჯერ კიდევ სუსტად მუშაობს. ამიტომ მისი მუშაობა სამართლიანად გააკრიტიკეს საქმიწსახკომში შემდგარ რესპუბლიკურ თათბირზე. ინსტიტუტმა უნდა გარდაჰქმნას მუშაობა, მან ნამდვილი დახმარება უნდა გაუწიოს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს ციტრუსოვანთა ყინვებისაგან დაცვის ღონისძიებების შემუშავებისა და მოსავლიანობის გადიდების საკითხთა გადაჭრაში.

ქარსაფარი ზოლების მხრივ ჯერ კიდევ ცოტა რამ არის გაკეთებული. ამ დარგში საქმიწსახკომმა, ლიმმანტრესტმა და რაიონულმა ორგანიზაციებმა დიდი მუშაობა უნდა გასწიონ, რადგან ქარსაფარი ზოლების გაშენება ციტრუსოვანთა დაზიანებისაგან გადარჩენის მნიშვნელოვანი ღონისძიებაა.

პარტიის რაიკომებმა ბიუროებზე უნდა მოისმინონ ციტრუსოვანთა გამოზამთრებისათვის მზადების მიმდინარეობა, დასახონ კონკრეტული ღონისძიებანი და უზრუნველჰყონ ამ ღონისძიებათა ურყევად განხორციელება.

საშემოდგომო სამუშაოები ტარდება ისეთ დღეებში, როცა მამაცმა წითელმა არმიამ ღირსეულად შეასრულა თავისი განმათავისუფლებელი ამოცანა. კრემლის ვარსკვლავების შუქი მოეფინა დასავლეთ უკრაინასა და დასავლეთ ბელორუსიას, რომლებიც პოლონეთის პანების უღლისქვეშ გმინავდნენ. პასუხად საბჭოთა მთავრობის მეთაურის ამხანაგ **მოლოტოვის** მოწოდებისა—პატიოსანი და თავდადებული შრომით დავეხმაროთ ჩვენს წითელ არმიას—ფართოვდება სოციალისტური შეჯიბრება სახალხო მეურნეობის ყველა დარგში და მათ შორის ციტრუსოვანთა თვალწარმტაც ბაღნარშიც. მთელი მუშაობა იმგვარად უნდა წარიმართოს, რომ ყინვებისაგან არ დაზიანდეს არცერთი ხე, არცერთი ნარგავი. სუბტროპიკული რაიონების პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები ბოლშევიკურად უნდა ჩაუდგნენ სათავეში კოლმეურნეთა და საბჭოთა მეურნეობების მუშების გაშლილ ინიციატივას და, მოწინავეთა გამოცდილების ფართოდ დანერგვით, უზრუნველჰყონ ციტრუსოვანთა და ტუნგოს სანიმუშოდ გამოზამთრება.

დამზადებულია თამბაქოს ნედლეულის პირველი 300 ტონა

ოქტომბერში საქართველოს მეთამბაქოობის ყველა რაიონი შეუდგა ახალი მოსავლის თამბაქოს დამზადებას. საქართველოს თამბაქოს ნედლეულის დამამზადებელმა პუნქტებმა ოქტომბრის პირველ ხუთდღიურში ჩაიბარეს 301 ტონა თამბაქო, რაც თვიური გეგმის 15,5 პროცენტს შეადგენს.

კარგად მიმდინარეობს თამბაქოს დამზადება ლუქსემბურგის რაიონში, სადაც თვიური გეგმა შესრულებულია 51,6 პროცენტით, გურჯაანის რაიონში (44,2 პროცენტი) და ლაგოდეხისაში (40,3 პროც.). სეზონის განმავლობაში საქართველოში უნდა დამზადდეს დაახლოებით 16.000 ტონა ყვითელი თამბაქო.

საქთამბაქნედლეულის დამამზადებელი პუნქტები, საწყობები და საფერმენტაციო ქარხნები შეკეთებულია და მზად არის თამბაქოს ნედლეულის მისაღებად.

უახლოეს დღეებში ნედლეულის პირველი პარტია გაიგზავნება საბჭოთა კავშირის თამბაქოს ფაბრიკებში. (საქდესი).

მახარაძის რაიონმა შეასრულა ჩაის კრეფის გეგმა

მახარაძე, 10 ოქტომბერი (ტელეგრაფით, „კომუნისტის" კორ.). რაიონმა ჩაის მწვანე ფოთლის კრეფის წლიური გეგმა 100,1 პროცენტით შეასრულა. 10 ოქტომბრისათვის მოიკრიფა და სახელმწიფოს ჩაბარდა 10.027.487 კილოგრამი ფოთოლი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 10.011.000 კილოგრამისა. მოკრეფილი ფოთლის 75 პროცენტი პირველი ხარისხისაა.

ჩაის კრეფა გრძელდება.

ლ. მახარაძე

საბჭოთა პლანერისტების ახალი საერთაშორისო რეკორდები

სსრ კავშირის ვ. პ. ჩკალოვის სახ. ცენტრალური აეროკლუბის საავიაციო სასპორტო კომისიამ საერთაშორისო საავიაციო ფედერაციის (ფაი) პრეზიდიუმისაგან მიიღო ცნობა იმის შესახებ, რომ საბჭოთა პლანერისტების ხუთი ახალი რეკორდი დამტკიცებულია როგორც საერთაშორისო.

სიშორეზე ფრენის და მასთანვე სტარტზე დაბრუნების საერთაშორისო რეკორდებად სცნეს გაფრენები, რომელიც 23 ივლისს მოახდინეს საბჭოთა პლანერიზმის ოსტატებმა ამხ. კარტაშოვმა (ორადგილიანი პლანერით „სტახანოვეცი" და ამხ. კიმელმანმა (ერთადგილიანი პლანერით „როტ-ფრონტ-7"). ორივე პლანერისტი ფრინავდა ტულა-რიაჟსკ-ტულის მარშრუტით, რისი სიგრძეც 342 კილომეტრსა და 370 მეტრს უდრის.

წინასწარ დასახულ პუნქტისაკენ გაფრენის სიშორის საერთაშორისო რეკორდად დამტკიცებულია ამხ. სავცოვის მიერ 31 ივლისს შესრულებული გაფრენა. ერთადგილიანი პლანერით „როტ-ფრონტ-7" ამხ. სავცოვმა მარშრუტით ტულა-სლობოდა მიხაილოვკა (სტალინგრადის ოლქი) ძირდაუშვებლად გაიფრინა 602 კილომეტრი და 358 მეტრი.

ორადგილიანი პლანერების კატეგორიისათვის გაფრენის სიშორის ქალთა საერთაშორისო რეკორდად აღიარებულია პლანერისტ ამხ. ველიკოსელცევას მიერ 23 ივლისს დამყარებული რეკორდი. ამ დღეს ამხ. ველიკოსელცევამ პლანერ „სტახანოვეცით" ძირდაუშვებლად გაიფრინა ტულიდან ლიპეცკამდე და პირდაპირი ხაზით გაიარა 223 კილომეტრი და 633 მეტრი. ამავე ორადგილიანი პლანერით და იმავე მარშრუტით იგი 31 ივლისს გაფრინდა წინასწარ დასახული პუნქტისაკენ. ამხ. ველიკოსელცევას მეორე გაფრენა აღიარებულია წინასწარ დასახული პუნქტისაკენ გაფრენის სიჩქარის ქალთა საერთაშორისო რეკორდად ორადგილიანი პლანერების კატეგორიისათვის.

გარდა ამისა, სსრ კავშირის ჩკალოვის სახელობის ცენტრალური აეროკლუბის საავიაციო სასპორტო კომისიამ ავიაციის საერთაშორისო ფედერაციისაგან მიიღო ცნობა, ავიამოდელების კლასისათვის გაფრენის ხანგრძლივობის საერთაშორისო რეკორდად აღიარებულია ევგენი სოლოდოვნიკოვის კონსტრუქციის პლანერის მოდელის გაფრენის შედეგი. 15 ივლისს ამ მოდელმა ჰაერში დაჰყო 1 საათსა, 43 წუთსა და 20 წამს. (საკდესი).

ნ. გ. ჩერნიშევსკის სამშობლოში

სარატოვი, 9 ოქტომბერი (საკდესი). სარატოვში აქტიურად ემზადებიან ნ. გ. ჩერნიშევსკის გარდაცვალების 50 წლისთავისათვის. საწარმოებში, დაწესებულებებში, სამხედრო ნაწილებსა და სასწავლებლებში იმართება ლექციები და მოხსენებანი მწერლის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ. საოლქო ბიბლიოთეკა ამზადებს დიდ ლიტერატურულ გამოფენას. გამოფენა ეწყობა აგრეთვე ყველა რაიონულ ბიბლიოთეკაში.

დიდ მუშაობას ეწევა სარატოვის მეცნიერთა სახლი. 23-25 ოქტომბერს გაიმართება ნ. გ. ჩერნიშევსკის ხსოვნისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესია. მზადდება ფოტოგამოფენა, რომელიც ასახავს მწერლის ცხოვრების გზას, და აგრეთვე ჩერნიშევსკის ნაწარმოებთა და მის შესახებ არსებული ლიტერატურის გამოფენა.

ამ დღეებში დაიბეჭდება და გამოვა: „ჩერნიშევსკი სარატოვში" და „ჩერნიშევსკის პოლიტიკური გასამართლება". გადაცემულია წარმოებაში მწერლის შვილიშვილის ნინო მიხეილის-ასულის ჩერნიშევსკაიას წიგნი „ბავშვებს ჩერნიშევსკის შესახებ".

აგებენ ახალ ძეგლს მწერლის საფლავზე. გუშინ 7-მეტრიან რკინაბეტონის სვეტებიანი თალი გაანთავისუფლეს შეფიცვრისაგან. დაწყებულია საბათქაშო სამუშაოები. თალის ცენტრში შავი გრანიტის კვარცხლბეკზე დაიდგმება ობელისკი ჩერნიშევსკის ბრინჯაოს ბარელიეფით და მემორიალური დაფით. ობელისკის სიმაღლე 3,85 მეტრი იქნება.

„ეპრონელებს" პრიპიატის ფსკერიდან ამოაქვთ პოლონეთის ფლოტილიის გემები

ლენინგრადი, 8 ოქტომბერი (საკდესი). როცა შეიტყვეს, საბჭოთა დნეპრის ფლოტილია ახლოვდებაო, პოლონეთის ოფიცრებმა, პანიკურად გაქცევისას მდინარე პრიპიატში ჩასძირეს თავიანთი საბრძოლო გემები. ჩაძირულ იქნა საფლაგმანო გემი „ადმირალი სერპინეკი", მონიტორები „ტორუნი", „გოროდიშჩე", „პინსკი", ათობით პატარა საბრძოლო ერთეულები და დამხმარე ხომალდები.

სახელოვანმა დნეპრელებმა გემების ნაწილი თავიანთი ძალებით ამოიღეს. პოლონეთის ფლოტილიის დანარჩენი ხომალდების ამოღებაზე მუშაობს განსაკუთრებული დანიშნულების წყალქვეშა სამუშაოთა ექსპედიციის — „ეპრონის" გემამწევი ჯგუფი.

8 ოქტომბერს წითელდროშოვანი „ეპრონის" მთავარმა სამმართველომ მიიღო ცნობა მყვინთავთა ახალი გამარჯვების შესახებ. მდინარე პრიპიატის ფსკერიდან „ეპრონელებმა" ამოიღეს მონიტორი „გოროდიშჩე".

საექიმო დახმარება დასავლეთ ბელორუსიის მოსახლეობას

საუბარი ბელორუსიის სსრ ჯანმრთელობის სახალხო კომისრის მოადგილე ამხ. ეპშტეინთან

მინსკი, 9 ოქტომბერი (საკდესის სპეცკორი). ბელორუსიის სსრ ჯანმრთელობის სახალხო კომისრის მოადგილემ ამხ. ეპშტეინმა საკდესის კორესპონდენტთან საუბრის დროს უამბო მას დასავლეთ ბელორუსიაში თავისი მგზავრობის შესახებ. მან მოიყვანა ფაქტები, რომელნიც მოწმობენ, რომ პოლონეთის ყოფილი მთავრობა სრულებით არ ზრუნავდა მოსახლეობის საექიმო მომსახურების ორგანიზაციაზე. ისეთ დიდ ქალაქში, როგორიცაა ვილნო, ქალაქში, სადაც 200 ათასზე მეტი მცხოვრებია, სახელმწიფო საავადმყოფოებში მუშაობდა მხოლოდ 150 ექიმი. მთელს მოლოდეჩნოს მაზრაში მხოლოდ ერთი საავადმყოფო იყო. დაბა რადოშკოვიჩში იყო პატარა ამბულატორია, სტოლბცის ადგილობრივ საავადმყოფოში 50 საწოლს მომსახურებას უწევდნენ 1 ექიმი, 4 სამედიცინო და და ერთი უფასო პრაქტიკაზე მყოფი ახალგაზრდა ექიმი. შენობები, სადაც სამკურნალო დაწესებულებები იყო მოთავსებული, სრულიად მოუწყობელია. ჩვეულებრივად ეს არის კერძო სახლები, რომლებიც იჯარით ჰქონდათ აღებული საავადმყოფოებსა და ამბულატორიებს.

რადგან საექიმო დახმარებისთვის დიდი ფასი იყო დაწესებული (საავადმყოფოში საწოლი ღირდა 5 ზლოტი დღეში და საამბულატორიო დახმარება — 2-3 ზლოტი), მშრომელთა ფართო მასები არსებითად მოკლებულნი იყვნენ მკურნალობის შესაძლებლობას. მოლოდეჩნოში გლეხი ქალი ნოვაში, რომელიც 8 დღეს იწვა საავადმყოფოში, იძულებული გახდა გაეყიდა თავისი ერთადერთი ძროხა, რათა საავადმყოფოს ფული გადაეხადა.

დასავლეთ ბელორუსიის ყველა ქალაქსა და დაბაში დროებითს მმართველობას დახმარებისათვის მიმართავენ უმუშევარი ექიმები, ფერშლები. ქალაქ ვილნოში ხშირად შეხვდებით უმუშევარ ექიმებს, რომელთაც 10-15 წლის სტაჟი აქვთ.

მედიცინის მუშაკთა კონფერენციებზე, რომლებიც მთელ რიგ ქალაქებში გაიმართა, და მუშათა და გლეხთა მრავალრიცხოვან კრებებზე, აღნიშნავს ამხ. ეპშტეინი, დასავლეთ ბელორუსიის მოსახლეობამ საბჭოთა მთავრობას მიმართა თხოვნით, დაეხმაროს მას, რათა მოეწყოს მშრომელთა საექიმო მომსახურება საბჭოთა ჯანმრთელობის დაცვის პრინციპების საფუძველზე. თვისტომი ძმების — ბელორუსების თხოვნის დასაკმაყოფილებლად ბელორუსიის სსრ ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატმა დასავლეთ ბელორუსიის რაიონებში გაგზავნა 100 სპეციალისტი. ისინი შეუდგნენ სამკურნალო ქსელის შესწავლას, კადრების აღრიცხვას და უფასო საექიმო დახმარების ორგანიზაციას. ჯანსახკომმა დროებითს მმართველობასთან ერთად დასახა პუნქტები, სადაც უნდა მოეწყოს ახალი საავადმყოფოები, ამბულატორიები, ჯანმრთელობის პუნქტები; ხდება მათთვის შენობების შერჩევა. მაგალითად, რადოშკოვიჩში საავადმყოფოსთვის გამოყოფილ იქნა მემამულე სნიტკოს სახლი, მოლოდეჩნოში, სტოლბცში და ნაწილობრივ ვილნოში მშრომელებს უკვე უწევენ უფასო საექიმო დახმარებას.

დასავლეთ ბელორუსიაში მედიკამენტების არსებული ნაკლებობის ლიკვიდაციისათვის დიდი რაოდენობით იგზავნება მარლა, ბანდი, იოდი, ქინაქინა, ქლოროფორმი და სხვა სააფთიაქო საქონელი. ბელოსტოკში, ვილნოში, ნოვოგრუდოკში, პინსკში ეწყობა სპეციალური საბითუმო ბაზები. მთავრდება 10 სანიტარულ-ეპიდემიური რაზმის ორგანიზაცია, აქედან 3 უკვე შეუდგა სახადით დაავადების, ტრახომისა და სხვა საინფექციო სნეულებათა კერების ლიკვიდაციას გლუბოკოე-სვენციანის, ბრესტ-ლიტოვსკის, ბელოსტოკის რაიონებში. ყოველ რაზმს მეთაურობს გამოცდილი ექიმი. მათ შეარჩიეს ფერშლები, დეზინფექტორები, სამედიცინო დები. თვითეული რაზმის განკარგულებაშია 3 ავტომანქანა, ავტოშხაპი, სალაშქრო ლაბორატორია, სადეზინფექციო კამერა, პატარა აფთიაქი, ასაცრელი მასალა თეთრეულის კომპლექტები.

უახლოეს დღეებში დასავლეთ ბელორუსიის ქალაქებში გაიგზავნება სასწრაფო დახმარების 20 ავტომანქანა, მიღებული სსრ კავშირის ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატისაგან.

გაჩაღდა აგრეთვე მზადება დასავლეთ ბელორუსიის საექიმო დაწესებულებათა ქსელის რეორგანიზაციისა და გაფართოებისათვის მე-4 კვარტალში. განზრახულია მოეწყოს 50 ახალი საავადმყოფო, გაიხსნას რამდენიმე სანიტარული დაწესებულება და 60 საბავშვო ბაგა. ბელოსტოკის, გროდნოს, ვილნოს საწარმოებში შექმნილია ჯანმრთელობის 50 პუნქტი. წინასწარი ვარაუდით საავადმყოფოებში საწოლთა რაოდენობა დასავლეთ ბელორუსიაში 900-1000-დან უახლოეს თვეებში აყვანილ იქნება 5 ათასამდე. ამბულატორიებში მომუშავე ექიმთა რაოდენობა კვარტალის დამლევისათვის მიაღწევს 1200 კაცს, აქედან 400 იქნება კბილის ექიმი. ასეთია ღონისძიებანი, რომლებიც ბელორუსიის სსრ ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატმა დასახა და ახორციელებს დასავლეთ ბელორუსიის მოსახლეობისათვის საექიმო დახმარების აღმოჩენის დარგში.

სარკინიგზო მიმოსვლა მოსკოვსა და ლვოვს შორის

მოსკოვი, 9 ოქტომბერი (ბილდაპარატით ჩვენი საკ. კორ.). გზათა სახალხო კომისარიატის ცნობებით, ამჟამად სდგება კიევსა და ლვოვს შორის მატარებლების მოძრაობის გრაფიკი. უახლოეს დღეებში დაიწყება პირდაპირი სამგზავრო და სატვირთო მიმოსვლა მოსკოვსა და ლვოვს შორის.

ძირითად მიმართულებებზე, რომლებიც დასავლეთ უკრაინასა და დასავლეთ ბელორუსიას სსრ კავშირთან აკავშირებენ (ლვოვი, ვილნო, ბრესტი). უკვე მოეწყო მატარებლების მოძრაობა. მოგვარებულია აგრეთვე საგარეუბნო მატარებლების მოძრაობა ვილნოს, ლვოვის, გროდნოს რაიონებში. სარკინიგზო მიმოსვლა სსრ კავშირსა და დასავლეთ ბელორუსიას შორის ხორციელდება გადასხდომით. როგორც დასავლეთ უკრაინის ადგილობრივი მნიშვნელობის ხაზებზე, ისე აქაც გამოყენებულია არსებული მოძრავი შემადგენლობა.

გზების აღდგენის შემდეგ დასავლეთ ბელორუსიის ტერიტორიაზე განახლდება მატარებლების რეგულარული მოძრაობა სსრ კავშირსა და დასავლეთ ევროპას შორის.

უკანასკნელი ცნობები

პაასიკივის მომავალი გამგზავრება მოსკოვს

ჰელსინკი, 9 ოქტომბერი (საკდესი). ფინეთის დეპეშათა სააგენტო იუწყება, რომ ფინეთის მთავრობამ გადასწყვიტა გაგზავნოს მოსკოვში ფინეთის ელჩი შვეციაში პაასიკივი. პაასიკივი მოსკოვში გაემგზავრება ფინეთსა და საბჭოთა კავშირს შორის პოლიტიკური და ეკონომიური საკითხების განსახილველად.

ლოიდ ჯორჯის გამოსვლა

ნიუ-იორკი, 10 ოქტომბერი (საკდესი). როგორც იუნაიტედ პრესის სააგენტო ლონდონიდან იუწყება, 5 ოქტომბერს „მშვიდობიანობის სასარგებლოდ მოქმედების საბჭოს" სხდომაზე გამოვიდა ლოიდ ჯორჯი, რომელმაც შეიტანა წინადადება ინგლისში ომის საწინააღმდეგო ფართო კამპანიის გაჩაღების შესახებ. ამ კამპანიაში მონაწილეობა უნდა მიიღოს ინგლისის ყველა ქალაქის წარმომადგენლებმა. ომის საწინააღმდეგო კამპანიის ხელმძღვანელი იქნება ლოიდ ჯორჯი.

გერმანიის არმიის უმაღლესი სარდლობის ცნობა

ბერლინი, 10 ოქტომბერი (საკდესი).გერმანიის საინფორმაციო ბიურო გადმოგვცემს გერმანიის არმიის უმაღლესი სარდლობის შემდეგ ცნობას:

„აღმოსავლეთში შესრულებულია სარდლობის დავალება იმ მხრივ, რომ გერმანიის არმიამ წაიწიოს საზღვრებისაკენ გერმანიისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ინტერესებს შორის. ამგვარად ბუგის ჩრდილოეთით მდებარე რაიონსა და სუვალკის რაიონში წინსვლა ძირითადად დამთავრებულია.

დასავლეთში აღინიშნება მხვერავი პატრულებისა და არტილერიის უმნიშვნელო მოქმედება".

დასავლეთის ფრონტზე

ლონდონი, 10 ოქტომბერი (საკდესი). რეიტერის სააგენტო პარიზიდან რადიოთი გადმოგვცემს, რომ დასავლეთის ფრონტზე გერმანიის უმაღლესმა სარდლობამ თავი მოუყარა ძირითად ოპერაციებს ფრონტის სექტორში მოზელსა და საარბრიუკენს შორის, სადაც საფრანგეთის ჯარი შეტევას განაგრძობს. ამ სექტორში გერმანელებმა მოახდინეს მთელი რიგი შეტევა იმ მიზნით, რომ ხელთ ეგდოთ ტყვეები, რათა მიეღოთ მათგან ცნობები საფრანგეთის გეგმების შესახებ.

როგორც ჰფიქრობენ, დასავლეთის ფრონტზე მომავალ შეტევაში გერმანიის ამოცანას წარმოადგენს გერმანიის ტერიტორიის გაწმენდა საფრანგეთის ჯარისაგან. მთელ ფრონტზე მოზელსა და რაინს შორის გაჩაღებული ინტენსიური საარტილერიო დუელი მოწმობს, რომ უახლოეს დროში გერმანელები მთელ ძალას იხმარენ, რათა გაანთავისუფლონ საარბრიუკენი.

ომი ზღვაში

ნიუ-იორკი, 10 ოქტომბერი (საკდესი). ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს ცნობებით, ევროპაში ომის დაწყების მომენტიდან ჩაძირულ იქნა 65 გემი 266 ათასი ტონა საერთო ტონაჟით. ჩაძირულ გემებს შორის არის: ინგლისის—33 გემი, გერმანიის—9, საფრანგეთის—2, ნეიტრალური ქვეყნების—21, რომელთაგან 14 გემი სკანდინავიის ქვეყნებს ეკუთვნის. გემების ჩაძირვის დროს მოკლულ იქნა და უგზოუკვლოდ დაიკარგა 764 კაცი.

ბ. ვ. შჩუკინის დაკრძალვა

9 ოქტომბერს მოსკოვმა დაკრძალა საბჭოთა ხელოვნების გამოჩენილი ოსტატი —სსრ კავშირის სახალხო არტისტი ბორის ვასილის-ძე შჩუკინი. დილიდან, როგორც წინა დღეს, ათასობით მოსკოველები მიდიოდნენ ვახტანგოვის სახელობის თეატრში, რათა უკანასკნელი პატივი ეცათ გენიალური მსახიობისათვის, რომელიც მხურვალედ უყვარდა საბჭოთა ხალხს.

14 საათზე დარბაზში შესვლა სწყდება. იქ რჩებიან მხოლოდ ვახტანგოვის სახელობის თეატრის კოლექტივი, ხელოვნების ოსტატები, განსვენებულის ნათესავები და მეგობრები.

სცენის შუაგულს ამაღლებულ კვარცხლბეკზე, რომელიც მორთულია წითელი და შავი აბრეშუმით, დადგმულია მარმარილოს თეთრი ურნა ბ. ვ. შჩუკინის ნეშტითურთ. ურნის ზევით აღმართულია პალმის ტოტით შემკული მისი დიდი პორტრეტი. ალისფერ ბალიშზეა ლენინის ორდენი, რომლითაც დაჯილდოებული იყო შჩუკინი.

მხოლოდ დიდებული მუსიკა არღვევს მწუხარე დუმილს. ორკესტრი ასრულებს სიმფონიას ჩაიკოვსკისას, რომელიც განსვენებულის საყვარელი კომპოზიტორი იყო.

საპატიო ყარაულის უკანასკნელ ცვლაში დგანან: ამხ. ა. ი. ვიშინსკი, მ. ბ. ხრაპჩენკო, ა. ვ. სოლოდოვნიკოვი, ი. მ. მოსკვინი, ა.ვ. ნეჟდანოვა, ს. მ. მიხოელსი, რ. ნ. სიმონოვი, მ. ი. რომი, ბ. ე. ზახავა, ნ. პ. ოხლოპკოვი და სხვ.

15 საათია. იხსნება სამგლოვიარო კრება. მთავრობის სახელით სიტყვას ამბობს სსრ კავშირის სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ამხ. ა. ი. ვიშინსკი.

— დღეს ჩვენ ვასაფლავებთ, — ლაპარაკობს ამხ. ვიშინსკი, — ერთერთ შესანიშნავ საბჭოთა ადამიანს, საბჭოთა დრამატიული ხელოვნების ერთერთ უნიჭიერეს ოსტატს, სსრ კავშირის სახალხო არტისტს ბორის ვასილის-ძე შჩუკინს.

სიკვდილმა შესწყვიტა ამ შესანიშნავი ადამიანის სიცოცხლე მისი ძალების გაფურჩქვნის დროს, ჯერ კიდევ ახალგაზრდა ადამიანის, რომელიც სავსე იყო მჩქეფარე ენერგიითა და ცხოვრების დაუშრეტელი სიმდიდრით, რომელმაც მთელი თავისი არსება შესწირა თავისი ხალხის, თავისი სამშობლოს დიად საქმეს.

სიკვდილმა შესწყვიტა ეს შესანიშნავი სიცოცხლე სოციალიზმის დიადი განმათავისუფლებელი იდეების ახალი გამარჯვების დღეებში, იმ დღეებში, როცა მილიონობით ადამიანები პანების უღლისაგან ვანთავისუფლებულნი დიადი საბჭოთა კავშირის — მძლავრი ხელით ახალ ცხოვრებას, ახალ ბედნიერებას, საბჭოთა კულტურას ეზიარებიან, როცა ეწაფებიან მთელ ძალას, სიახლესა და სილამაზეს საბჭოთა გენიისა, რომლის ერთერთი წარმომადგენელი იყო ბორის ვასილის-ძე შჩუკინი.

სიკვდილმა შეაჩერა ამ შესანიშნავი ადამიანის გულისცემა. სამუდამოდ დაადუმა ეს მგზნებარე და ცეცხლოვანი გული იმ დღეებში, როცა ახალი და განსაკუთრებული ძალით იჩინა თავი საბჭოთა სახელმწიფოს დიდებამ, მუშათა და გლეხთა პირველი სოციალისტური სახელმწიფოს დიდებამ.

შჩუკინის სახელთან მჭიდროდ არის დაკავშირებული თეატრის ახალი ისტორია, საბჭოთა თეატრისა და საბჭოთა კინოს ისტორია.

მის სახელთან დაკავშირებულია **ნამდვილი სოციალისტური რეალიზმის** ბრწყინვალე წარმატებანი, რამაც ბორის ვასილის-ძე შჩუკინის სახით ერთერთი შესანიშნავი გამომხატველი ჰპოვა.

შჩუკინის მიერ შექმნილი ათობით ბრწყინვალე სცენიური სახე სამუდამოდ დარჩება საბჭოთა თეატრალური ოსტატობის სწორუპოვარ ნიმუშებად, მართალი, გულწრფელი, მამაცური და სიხარულის მომგვრელი ოსტატობისა, როგორიცაა თვით ცხოვრება, როგორიცაა ბრძოლა, გამარჯვება.

ბორის ვასილის-ძე შჩუკინი თეატრში მოვიდა ცხოვრების სიღრმიდან. იგი ცხოვრების ერთგული დარჩა ბოლომდე. ამიტომაც არის ასე წარმტაცი მის მიერ შექმნილი სახეები, ამიტომაც ასე მომხიბვლელია შჩუკინის შემოქმედება, ამიტომ არის ასე მახლობელი, გასაგები და ძვირფასი იგი ხალხისთვის.

1936 წელს შჩუკინმა მიიღო სახალხო არტისტის სახელწოდება — ეს სავსებით შეესაბამებოდა მისი დამსახურების აღიარებას მთელი ხალხის მიერ.

ეს იყო სულ სამიოდე წლის წინათ. მაგრამ ახალ გამარჯვებათა როგორი ბრწყინვალე გზა განვლო შჩუკინმა ამ სამი წლის მანძილზე!

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 20 წლისთავის დღეებში შჩუკინი თეატრში და კინოში ჰქმნის სოციალისტური რევოლუციის გენიალური ბელადის ვლადიმერ ილიას-ძე **ლენინის** სახეს.

ეს იყო შესანიშნავი გამარჯვება და არა მარტო ბორის ვასილის-ძის ბრწყინვალე ოსტატობისა,—ეს იყო მთელი საბჭოთა ხელოვნების, მთელი საბჭოთა კულტურის გამარჯვება...

შჩუკინის ნიჭი არაჩვეულებრივი იყო. მხოლოდ ასეთი უდიდესი ნიჭის მქონე მსახიობს შეეძლო გაებედნა და ეკისრა ისეთი ამოცანა, როგორიცაა პროლეტარული რევოლუციის გენიალური ბელადის ვ. ი. ლენინის სახის შექმნის ამოცანა. ასეთი ამოცანა შეეძლო ეკისრნა მხოლოდ დიდ მხატვარს, უდიდესი ადამიანური სიმართლისა და სისპეტაკის ადამიანს, ლენინ-სტალინის საქმის უსაზღვროდ ერთგულს, გამარჯვებული და ყოვლისმძლე სოციალიზმის ქვეყნის დიდ პატრიოტს.

შჩუკინმა იკისრა ეს ამოცანა და ბრწყინვალედ გადასჭრა იგი. შჩუკინის ამ დამსახურებას საბჭოთა ხალხი არასოდეს დაივიწყებს.

ჩვენ თავს ვიხრით ბორის ვასილის-ძე შჩუკინის ნეშტის წინაშე. მისი ნათელი ხსოვნა მუდამ იცოცხლებს თვითეული ჩვენგანის გულში, ყველას გულში, ვინც იწვის, როგორც ამხ. შჩუკინი იწვოდა, სამშობლოსადმი, ჩვენი ხალხისადმი, ლენინ-სტალინის პარტიის საქმისადმი დაუშრეტელი სიყვარულის ცეცხლით.

განუზომელია დანაკლისი, რომელიც საბჭოთა ხელოვნებამ განიცადა. ბორის ვასილის-ძე შჩუკინი ემსახურებოდა კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე მოწინავე ეპოქის მოწინავე იდეებს. იგი ემსახურებოდა კომუნიზმის დიად იდეებს.

დეე მისი ცხოვრება, ნათელი და ძლიერი შემოქმედებითი სიხარულით აღსავსე, მაგალითი იყოს ყველა მისი მეგობრისათვის, მოწაფისა და პატივისმცემლისათვის.

სსრ კავშირის მთავრობის სახელით ღრმა სამძიმარს ვუცხადებ ბორის ვასილის-ძის ოჯახს, ვახტანგოველთა კოლექტივსა და ხელოვნების ყველა მუშაკს იმ დიდი დანაკლისის გამო, რაც ჩვენ ყველამ განვიცადეთ; ამავე დროს გამოვთქვამ რწმენას, რომ საბჭოთა თეატრისა და საბჭოთა კინოს მუშაკები, გაჰყვებიან რა ბორის ვასილის-ძე შჩუკინის სახელოვან ტრადიციებს, მაღლა დაიჭერენ სოციალისტური ხელოვნების დროშას ჩვენი სამშობლოს მტრებთან შეურიგებელ ბრძოლაში, ლენინ-სტალინის ბოლშევიკური პარტიის დიადი იდეებისათვის, კომუნიზმისათვის ბრძოლაში.

ტრიბუნაზე ადის ხელოვნების საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარის მოვალეობათა აღმსრულებელი ამხ. **მ. ბ. ხრაპჩენკო.**

—ბორის ვასილის-ძე შჩუკინი,— ამბობს იგი, იყო თავისი სამშობლოს დიდი მოქალაქე — მხატვარი, რომლისთვისაც ხელოვნება არის ხალხის სამსახური, ბრძოლა ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციის მოსასპობად, კომუნიზმის საფუძველზე საზოგადოების გარდასაქმნელად.

შჩუკინი დაუვიწყარი მომხიბვლელობითა და გულმხურვალებით, ანსახიერებდა თეატრსა და კინოში სტალინური ეპოქის ადამიანთა სახეებს. იგი იყო თეატრის ერთერთი პირველი მსახიობი, რომელმაც მოგვცა ბოლშევიკის შესანიშნავი სახე.

საბჭოთა მაყურებელი, საბჭოთა ხალხი დიდად მადლიერია შჩუკინისა მისი განსაცვიფრებელი შრომისათვის, რამაც მთელი მსოფლიოს მშრომელთ შესაძლებლობა მისცა ეკრანზე დაენახათ ადამიანთა ბედნიერებისათვის დიდი მებრძოლის — ლენინის ცხოვრება და მოღვაწეობა.

შემდეგ სიტყვები წარმოსთქვეს კინემატოგრაფიის საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ ამხ. **ნ. პ. სავჩენკომ,** სსრ კავშირის სახალხო არტისტებმა: **ნ. პ. ხმელევმა** და **ს. მ. მიხოელსმა,** რეჟისორმა **მ. ი. რომმა,** მუშურ-გლეხური წითელი არმიის მ. ვ. ფრუნზეს სახელობის ლენინის ორდენოსანი წითელდროშოვანი სამხედრო აკადემიის წარმომადგენელმა პოლკოვნიკმა **ნ. ფ. გარნიჩმა.**

ვახტანგოველთა კოლექტივის სახელით მგრძნობიარე სიტყვა წარმოსთქვა თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა — რსფს რესპუბლიკის სახალხო არტისტმა **რ. ნ. სიმონოვმა.**

—ამ სცენაზე,—ამბობს ამხ. სიმონოვი,—მუშაობდა და იზრდებოდა ბორის შჩუკინი, ჩვენი თეატრის მშვენება და სიამაყე. ვახტანგოვის თეატრი დაობლდა. მაგრამ ბორის შჩუკინის ბროლივით სპეტაკი სახე სამუდამოდ დარჩება ჩვენს გულში. იგი მოგვიწოდებს ვემსახუროთ ჩვენს ხალხს ისე, როგორც ემსახურებოდა მას შჩუკინი, რომელიც მისი წიაღიდან გამოვიდა და რომელმაც გადაუხადა ხალხს ვალი თავისი მშვენიერი ხელოვნებით.

სამგლოვიარო კრება დამთავრებულია. ურნას ბ. ვ. შჩუკინის ცხედრითურთ სდგამენ კატაფალკზე. იგი გამოაქვთ ამხ. ვიშინსკის, ხრაპჩენკოს, მოსკვინს, სიმონოვს, რომს და სხვ. სამგლოვიარო მელოდიას სცვლის „ინტერნაციონალის" მძლავრი ჰანგები.

სამგლოვიარო პროცესია მიემართება ნოვოდევიჩის სასაფლაოსაკენ. ათასობით მოსკოველები მიაცილებენ ბ. ვ. შჩუკინის ნეშტს უკანასკნელ ადგილამდე.

ურნა ბ. ვ. შჩუკინის ცხედრითურთ დაკრძალულ იქნა დიდი რუსი მსახიობებისა და რეჟისორების— კ. ს. სტანისლავსკისა და ე. ბ. ვახტანგოვის საფლავების მახლობლად.

სასაფლაოზე მოკლე გამოსათხოვარი სიტყვა წარმოსთქვა ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ **ბ. ე. ზახავამ.** (საქდესი).

ქრონიკა

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭომ დაადგინა, სსრ კავშირის სახალხო არტისტი ბ. ვ. შჩუკინი დაკრძალულ იქნას სახელმწიფო ხარჯზე. (საკდესი).

ამერიკული პრესა ამხ. შჩუკინის სიკვდილის შესახებ

ნიუ-იორკი, 9 ოქტომბერი (საკდესი). მთელი ამერიკული პრესა აქვეყნებს ცნობას სსრ კავშირის სახალხო არტისტ ბ. ვ. შჩუკინის უდროო გარდაცვალების შესახებ. გაზეთი „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბუნი" სწერს, რომ შჩუკინმა „საუცხოოდ გადმოგვცა ლენინის სახე და ტემპერამენტი".

წინანდლის საბჭოთა მეურნეობამ ყურძნის კრეფის გეგმა გადამეტებით შეასრულა

თელავის რაიონის წინანდლის მევენახეობა-მეღვინეობის საბჭოთა მეურნეობამ ყურძნის კრეფა 15 სექტემბერს დაიწყო. 8 ოქტომბრამდე მოკრეფილია 8.597 ცენტნერი ყურძენი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 5.488 ცენტნერისა, გეგმის 157 პროცენტი.

ყურძნის კრეფა გრძელდება.

წინანდლის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი ერ. ჩიკვილაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

დასავლეთ უკრაინასა და დასავლეთ ბელორუსიაში

გლეხთა ბრძოლა პანების უღლის წინააღმდეგ

სოფელი ნადიტიჩი (დასავლეთი უკრაინა), 9 ოქტომბერი (საკდესის სპეცკორი). ნოყიერია დასავლეთ უკრაინის მიწები, მდიდარია მისი ტყეები. მაგრამ მშრომელებს არ შეეძლოთ ყოველივე ამით სარგებლობა—გლეხებს პაწაწა ნაკვეთები ჰქონდათ, ძალიან ბევრს კი მიწა სულაც არ ჰქონდა. არც ასე ადვილი იყო ფასიანი სამუშაოს მიღება მემამულისაგან.

— ფოლვარკში დღიური მუშაობით,—მოგვითხრობს სოფელ ვილშანის გლეხი ნიკოლოზ ხმელი,—დღეში 40-50 კაპ. ვიღებდით, დღე კი განთიადიდან განთიადამდე გრძელდებოდა. უფრო მეტს შესჭამდი, ვიდრე იშოვნიდი, შინ კი ოჯახი შიმშილობდა.

ასე ცხოვრობდნენ სოფელ მედინიჩის გლეხებიც. აქ 750 კომლია, ხოლო მათგან 200-ზე მეტ კომლს არცერთი ნაკვეთი მიწა არ გააჩნდა.

შლიახტის დამქაშები—ჟანდარმები ყველაფერს სჩადიოდნენ სოფელში, რასაც კი მოისურვებდნენ. ისინი დადიოდნენ სოფლად, აჩხარუნებდნენ იარაღს, ამათრახებდნენ ხალხს, ძარცვავდნენ. ბალიშებსა და ჰილობსაც კი ართმევდნენ გლეხებს.

და აი დადგა დრო, როდესაც გლეხთა მოთმინების ფიალა აივსო. სოფელი ნადიტიჩი აჯანყდა. გლეხები იარაღდებოდნენ რითაც კი შეეძლოთ: თოფით, ცულით, ნიჩბით, ნამგლით. ათიოდე ახლო-მახლო სოფელმა მხარი დაუჭირა აჯანყებულთ.

დილის 9 საათიდან საღამოს 6 საათამდე სოფელ მედინიჩის შეიარაღებული გლეხები უმკლავდებოდნენ გაცოფებული ჟანდარმების იერიშს, მაგრამ ძალები არ ეყოთ. გამხეცებული ჟანდარმები შეიჭრნენ სოფელში. ცეცხლის ალი მოედო ჩალის სახურავებს. ბევრმა გლეხმა ეკლესიას შეაფარა თავი. აქვე, ეკლესიის ეზოში ჟანდარმერია მხეცურად გაუსწორდა მათ. აწამეს და მოჰკლეს ახალგაზრდა გლეხი ვასილ კინზერსკი. მკვდარი იპოვნეს თევდორე დანჩევსკი და გრინია კინდია. მათ ვეღარ გამოიცნობდით. სხეული დაჩეხილი და მიწაში ასვრილი იყო. ანა ბერიოზა პირდაპირ დაგლეჯილი იყო ნაკუწ-ნაკუწად.

მრავალი ობოლი დარჩა სოფლად ამ ხოცვა-ჟლეტის შემდეგ. ბევრმა ოჯახმა დაჰკარგა თავშესაფარი. მთლიანად გადაბუგეს დაბა რუდნიკი. სოფელ ნადიტიჩში გადასწვეს 59 სახლკარი, სოფელ უსტიეში—80 სახლკარი. გადაბუგეს 5 სხვა სოფელიც.

შეუძლებელია შეუძრწუნებლად უცქირო ჟანდარმების მიერ მოკლული გლეხის დანჩევსკის მცირეწლოვან ბავშვებს. მათგან უფროსი მიგონი 10 წლისაა, გალინა 6 წლის, დორე—4 წლის. მათ დედ-მამა დაჰკარგეს. მათ გულში სამუდამოდ დარჩება მოგონება პოლონელი შლიახტის თარეშის საშინელი დღეების შესახებ.

— გაიგეთ ჩემი ცხოვრება,—გვიამბობს მასწავლებელი სოფელ ნადიტიჩიდან გრიგორი რუდკო.—მე უკრაინელი გლეხის შვილი ვარ. ხუთი წლის წინათ ძლივს დავამთავრე პედაგოგიური ინსტიტუტი, მაგრამ მასწავლებლად ყოფნა მხოლოდ 2 წელს მომიხდა. უკანასკნელი 3 წლის განმავლობაში უმუშევარი ვიყავი. და როცა გლეხები აშენებდნენ ბარიკადებს სოფლის განაპირას, მე მათთან ერთად ვიყავი და თოფით შეიარაღებული გამოვედი პოლონელი ბარბაროსების წინააღმდეგ.

ყველაფერი ეს ხდებოდა წითელი არმიის ნაწილების მოსვლამდე ცოტა ხნით ადრე. დასავლეთი უკრაინის გლეხების ერთერთი ცდა, გადაეგდოთ პოლონეთის შლიახტის უღელი, მარცხით დამთავრდა. ვერავითარ იმედს ვერ ხედავდნენ გლეხები თავის უხალისო ცხოვრებაში.

— ჩვენთან დასახმარებლად მოვიდნენ საბჭოთა კავშირის ხალხები, განაგრძობს მასწავლებელი რუდკო.—ჩვენ ამ დახმარებას არასოდეს არ დავივიწყებთ და შთამომავლობას გადავცემთ, რათა იმათაც იცოდნენ, რომ ახალი ცხოვრება ჩვენ საბჭოთა მთავრობამ მოგვცა. 1939 წლის 17 სექტემბერი ჩვენი განთავისუფლების თარიღია. მთელი გულით მადლობას ვუძღვნით წითელ არმიას, საბჭოთა მთავრობასა და მშობლიურ სტალინს ჩვენზე მზრუნველობისათვის.

ი. ხიროშოლოტნი.

მუშა-ფეიქრების კრება ბელოსტოკში

ბელოსტოკი (დასავლეთი ბელორუსია), 8 ოქტომბერი (საკდესი). ქალაქის თეატრის შენობაში შესდგა ბელოსტოკის მუშა-ფეიქართა საერთო კრება. კრებაზე გამოვიდა ბელორუსიის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. პონომარენკო. სიტყვა საბჭოთა კავშირის ხალხთა დიდი მიღწევების შესახებ მას არაერთხელ შეაწყვეტინეს მქუხარე ტაშით.

ბელორუსიის სს რესპუბლიკის მშრომელთა სახელით ბელოსტოკის მუშა-ფეიქრებს მიესალმა ბელორუსიის სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ამხ. ნატალევიჩი.

თავის გამოსვლაში ქალაქის დროებითი მმართველობის წევრმა ამხ. დიაჩუკმა დამსწრეთ უამბო ბელოსტოკის მუშების მძიმე ცხოვრებაზე პოლონელი პანების ბატონობის წლებში.

კრებამ დასავლეთ ბელორუსიის ყველა მუშას, მუშა-ქალს, გლეხს, გლეხ-ქალსა და ინტელიგენციას მიმართა მოწოდებით მთელი ძალ-ღონე მოახმარონ დასავლეთ ბელორუსიის ხალხთა კეთილდღეობისათვის მუშაობას.

რეზოლუციის მიღების დროს დარბაზში განუწყვეტლივ ჰქუხდა ოვაციები. ბელორუსულ, რუსულ, ებრაულ და პოლონურ ენაზე გაისმოდა მისალმების შეძახილები წითელი არმიისა და საბჭოთა მთავრობის პატივსაცემად, ამხანაგ სტალინის პატივსაცემად.

უკრაინის დრამატიული თეატრი ქ. ლვოვში

ლვოვი, 9 ოქტომბერი (საკდესი). ქალაქის დროებითი მმართველობა შეუდგა ტ. გ. შევჩენკოს სახელობის პირველი უკრაინული დრამატიული თეატრის მოწყობას ლვოვში. თეატრის კოლექტივი უკვე შერჩეულია, იგი 105 კაცისაგან შესდგება. კოლექტივის შემადგენლობაში არიან დასავლეთ უკრაინის გამოჩენილი მსახიობნი: იოსებ სტადნიკი, ვლადიმერ ბლავაცკი, ივანე რუბჩაკი, კრივიცკაია, ბიოცალევა, სოვაჩევა, სტადნიკოვა და სხვები.

თეატრი დასადგმელად ამზადებს სუხოდოლსკის პიესა „ხმარას". მსახიობნი დიდი მოუთმენლობით მოელიან საბჭოთა დრამატურგების პიესებს.

დასავლეთ ბელორუსიის მშრომელთა მხატვრული მომსახურება

მინსკი, 8 ოქტომბერი (საკდესი). დღეს დასავლეთ ბელორუსიაში გაემგზავრა ბელორუსიის სს რესპუბლიკის ლიტერატურისა და ხელოვნების წარმომადგენელთა სამი ბრიგადა—მწერლები, კომპოზიტორები და მხატვრები. საბჭოთა მწერლების ბრიგადის შემადგენლობაში არიან ბელორუსიის სახალხო პოეტები ორდენოსნები იანკა კუპალა და იაკუბ კოლასი. 9 ოქტომბერს, საღამოთი, მწერლები და პოეტები ბელოსტოკის თეატრში გამოვლენ მუშებისა და ინტელიგენციის წინაშე და წაიკითხავენ თავიანთ ნაწარმოებებს. ისინი მონაწილეობას მიიღებენ აგრეთვე ლიტერატურულ საღამოებში და დასწერენ მთელ რიგ ნარკვევებს დასავლეთ ბელორუსიის შესახებ.

მხატვართა ბრიგადას მეთაურობს ორდენოსანი ამხ. ალტუფიევი. საკდესის კორესპონდენტთან საუბრის დროს ამხ. ალტუფიევმა განაცხადა, რომ მხატვრები დაეხმარებიან დასავლეთ ბელორუსიის მშრომელებს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXII წლისთავისათვის მზადებაში, მონაწილეობას მიიღებენ ქუჩებისა და მოედნების და დემონსტრანტთა კოლონების გაფორმებაში. მხატვრები იმუშავებენ აგრეთვე მასალებზე დასავლეთ ბელორუსიის წარსულის შესახებ. ეს მასალები მზადდება მომავალი გამოფენისათვის „ლენინი და სტალინი — ბელორუსული სახელმწიფოებრიობის ორგანიზატორები".

წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლები

გუსიატინი (დასავლეთი უკრაინა), 8 ოქტომბერი (საკდესი). დროებითი მმართველობის ინიციატივით დიდი მუშაობა ტარდება წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციოდ.

მთავრდება იმ მცხოვრებთა აღრიცხვა, რომლებმაც კითხვა და წერა არ იციან. მასწავლებლებმა ზომერშტეინმა, ვაკონბარხმა და სხვებმა სურვილი გამოსთქვეს იმუშაონ წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლებში. რამდენიმე დღის შემდეგ გუსიატინში მუშაობას დაიწყებს პირველი ასეთი სკოლა.

მოსახლეობა დიდი კმაყოფილებით შეხვდა დროებითი მმართველობის ამ ღონისძიებას.

დასავლეთი ბელორუსია. № ნაწილის ტანკისტები, პოლკოვნიკ ნ. ა. ბოლოტნიკოვისა და კომისარ ნ. ვ. შატალოვის მეთაურობით პირველნი შევიდნენ ქალაქ ვილნოში. **სურათზე** (მარცხნიდან): ნ. ა. ბოლოტნიკოვი და ნ. ვ. შატალოვი.

ფოტო ფიშმანისა

მუნტერსის განცხადება პრესის წარმომადგენლებთან

რიგა, 9 ოქტომბერი (საკდესი). ლატვიის საგარეო საქმეთა მინისტრმა მუნტერსმა დღეს მიიღო პრესის წარმომადგენლები. საბჭოთა კავშირ-ლატვიის ურთიერთდახმარების პაქტის მომავალ რატიფიკაციასთან დაკავშირებით მიცემულ ინტერვიუში მუნტერსმა, სხვათა შორის, განაცხადა:

ხელშეკრულების რატიფიკაციის წინ მსურს განვმარტო მისი პოლიტიკური საფუძველი. რატომ არჩეულ იქნა სწორედ ურთიერთდახმარების პაქტის ფორმა? ამ შემთხვევაში გამოხატულებას ჰპოულობს ორივე სახელმწიფოს სურვილი შეინარჩუნონ მშვიდობიანობა და სტატუს-ქვო ბალტიის ზღვაზე. ამას ნათელს ჰფენს ლატვია-საბჭოთა კავშირის სამშვიდობო ხელშეკრულება, თავდაუსხმელობის შესახები ხელშეკრულება და თვითონ პაქტის მე-5 მუხლი, რომელშიც გარკვევით არის აღნიშნული, რომ ამ ხელშეკრულებების დამდები არცერთი სახელმწიფოს სუვერენული უფლებები არ ილახება.

საჭიროა კვლავ გავიხსენოთ, რომ პაქტი დადებულია ომის პირობებში, როდესაც შესაძლებელია ყოველგვარი მოულოდნელობა და როდესაც მოვლენები უაღრესი სისწრაფით მისდევენ ერთმანეთს. ის გარემოება, რომ ლატვიას არა სურს ჩაბმულ იქნას ომში, იყო ჩვენი საგარეო პოლიტიკის ძირითადი ამოცანა იმ მომენტიდან, როდესაც ომის შესაძლებლობა უკვე გავლენას ახდენდა ყველა სახელმწიფოს პოლიტიკურ ცხოვრებაზე. ამავე დროს ჩვენ უნდა აღვიაროთ, რომ ომში ლატვიის ჩაბმა იქნებოდა მუქარა სსრ კავშირისათვის, რომელთანაც ჩვენ საერთო საზღვარი გვაქვს. ბალტიის ზღვაზე და ბალტიის აღმოსავლეთ სანაპიროზე ახლა შექმნილი მდგომარეობა არავითარ საფუძველს არ იძლევა ამგვარი შიშისათვის.

დახმარების ურთიერთი აღმოჩენის პრინციპს ერთგვარი გამაფრთხილებელი მნიშვნელობა აქვს. ამით ხაზგასმულია, რომ ომის თავიდან აცილება ორივე სახელმწიფოს ურთიერთ ინტერესებს შეესაბამება. რაკი დახმარების ურთიერთი აღმოჩენის პრინციპი ორივე მხარის მიერ იქნა აღიარებული, წამოიჭრა საკითხი იმის შესახებ თუ რა სახისა უნდა იყოს ეს დახმარება. აქ არჩეულ იქნა ისეთი გზა, რომელიც შეეფერება ორივე ქვეყნის გეოგრაფიულ მდებარეობასა და მათ სამხედრო შესაძლებლობას.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია აგრეთვე ერთად შემუშავებული კომუნიკე, რომელიც პაქტის ხელმოწერასთან დაკავშირებით გამოქვეყნდა.

დასასრულ მსურს ხაზგასმით აღვნიშნო, რომ პაქტი ანმტკიცებს მშვიდობიანობასა და უშიშროებას.

ჩინეთის არმიის მებრძოლთა და მეთაურთა დაჯილდოება

ჩუნცინი, 10 ოქტომბერი (საკდესი). ჩან კაი-შის ბრძანებით, ჩინეთის იმ ჯარის მებრძოლებსა და მეთაურებს, რომელიც ფრონტზე მოქმედებს ხუნანის პროვინციის ჩრდილონაწილში, მიეცა ფულადი ჯილდო 150 ათასი ჩინური დოლარის რაოდენობით.

ომის საწინააღმდეგო განწყობილება იაპონიის არმიაში

ჩუნცინი, 10 ოქტომბერი (საკდესი). გაზეთი „გომინგუნბაო" იუწყება, რომ 5 ოქტომბერს ნანჩანში იაპონიის სამხედრო ხელისუფლებამ ომის საწინააღმდეგო განწყობილებისათვის დახვრიტა 10 იაპონელი ჯარისკაცი. ჩანშასთან იაპონიის არმიის დიდი დამარცხების გამო, სწერს გაზეთი, იაპონიის ჯარისკაცებს შორის სულ უფრო და უფრო იზრდება ომის საწინააღმდეგო განწყობილება.

საზღვრის დაწესება საფრანგეთსა და ესპანეთს შორის

ნიუ-იორკი, 9 ოქტომბერი (საკდესი). როგორც იუნაიტედ პრესის სააგენტო ბაიონიდან (საფრანგეთ-ესპანეთის საზღვარი) იუწყება, 7 ოქტომბერს საფრანგეთისა და ესპანეთის დელეგაციები შეუდგნენ სადაო სახელმწიფო საზღვრის დაწესებას სენტ ეტიენ დე ბეგორის რაიონში (საფრანგეთის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში).

„იაუნაკას ზინიასი" საბჭოთა კავშირისა და ლატვიის ურთიერთდახმარების პაქტის შესახებ

რიგა, 9 ოქტომბერი (საკდესი). საბჭოთა კავშირისა და ლატვიის ურთიერთდახმარების პაქტის მომავალ რატიფიკაციასთან დაკავშირებით, გაზეთი „იაუნაკას ზინიას" დღეს სწერს: „ლატვიასა და სსრ კავშირს შორის დადებული პაქტი წარმოადგენს ახალ ნაბიჯს ორივე სახელმწიფოს ურთიერთობის განვითარებაში. ეს პაქტი მნიშვნელოვანი ისტორიული მოვლენაა. ნორმალური დამოკიდებულება ლატვიასა და სსრ კავშირს შორის დამყარდა 1920 წლის 11 აგვისტოს სამშვიდობო ხელშეკრულების დადების შემდეგ. უკვე მაშინ ლატვიელი ხალხი აღიარებდა თავის ვალდებულებებს თავისი დიდი აღმოსავლეთელი მეზობლის მიმართ. ხელშეკრულება ითვალისწინებს სსრ კავშირის უფლებებს ჩვენი ტერიტორიით, ჩვენი ნავსადგურებით საქონლის ტრანზიტის დარგში და სასაქონლო საწყობების მოწყობას.

ამჟამად საჭიროა გავიხსენოთ, რომ მაშინ უცხოელთა ზოგიერთი წრე გაძლიერებით ეწეოდა იმ თვალსაზრისის პროპაგანდას, რომ საბჭოთა სახელმწიფოს მეზობლად მდებარე სახელმწიფოებს განუწყვეტელი საომარი შეტაკება ექნებათ მასთან და რომ საბჭოთა სახელმწიფოსთან მშვიდობიანი და წარმატებითი თანაცხოვრება შეუძლებელია. ლატვია სხვა შეხედულებისა იყო და ეს ჩვენი შეხედულება დადასტურდა სსრ კავშირთან თანამეგობრობის 19 წლის მანძილზე. ისე, როგორც ესტონეთმა, ჩვენ მივიღეთ საბჭოთა კავშირის გარკვეული სტრატეგიული წინადადებანი. საბჭოთა პრესას არაერთხელ აღუნიშნავს ის გარემოება, რომ საბჭოთა კავშირს არ მოეპოვება ნამდვილი მისადგომი ბალტიის ზღვაზე. ეს ზღუდავდა საბჭოთა ფლოტის მოქმედებას და არ შეეფერებოდა მის გაზრდილ ძლიერებას. საბჭოთა კავშირმა უნდა მიიღოს აგრეთვე იმის შესაძლებლობა, რომ საზღვაო ვაჭრობა წარმართოს ყველაზე მოკლე გზით — ლატვიისა და ესტონეთის ნავსადგურებით, რომლებიც არ იყინება.

ლატვიამ, რომელიც თავისი უშიშროების ინტერესებით ხელმძღვანელობდა, საბჭოთა კავშირთან დასდო ურთიერთდახმარების პაქტი. ლატვიელი ხალხი დარწმუნებულია, რომ 5 ოქტომბერს მოსკოვში ხელმოწერილი ხელშეკრულება სასარგებლო იქნება ორივე მოკავშირე სახელმწიფოსათვის".

საომარი მოქმედება ჩინეთში

(საკდესის ჩუნცინელ, შანხაელ და ლონდონელ კორესპონდენტთა ცნობების მიხედვით)

ცენტრალურ ჩინეთში

ჩინეთის ჯარი წარმატებით განაგრძობს შეტევითი ოპერაციებს ხუნანის პროვინციის ჩრდილო ნაწილში. 5 დღის განმავლობაში ჩინელებმა 90 კილომეტრით წაიწიეს მთელ ფრონტზე და განდევნეს იაპონელები მთელი რიგი პუნქტებიდან. მარჯვენა ფლანგზე ჩინეთის ჯარი განაგრძობს წინსვლას ტუნჩენისაკენ (ხუბეის პროვინციის სამხრეთი ნაწილი). ჩინეთის ჯარს მნიშვნელოვან დახმარებას უწევენ თავდაცვის რაზმები, რომლებიც ადგილობრივ მცხოვრებთაგან შესდგება. უკანასკნელი ცნობებით ჩინეთის ჯარის ავანგარდები ტუნჩენს მიუახლოვდნენ.

ჩრდილო ჩინეთში

შანსის პროვინციის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში იაპონელებმა განაახლეს სამხედრო ოპერაციები. ჩინელთა ბაზების წინააღმდეგ ლიულინშანის მთებში. 7 ოქტომბერს იაპონელებმა, რომლებიც დატუნპუნჩჟოუს რკინიგზას ეყრდნობოდნენ, დაიწყეს წინსვლა ლინფინის ჩრდილო-დასავლეთით. იაპონელებმა აგრეთვე დაიწყეს შეტევა პუსიანზე. ჩინეთის ჯარი გააფთრებულ წინააღმდეგობას უწევს იაპონელებს.

შანდუნის პროვინციის სამხრეთ-ნაწილში იაპონიის ჯარის ორათასიანმა რაზმმა 6 ოქტომბერს იერიში მიიტანა ჩინეთის ჯარზე, რომელიც იაპონელთა ზურგში მოქმედებს. ამ უკანასკნელმა წინააღმდეგობა აღუწია და იაპონელები იძულებული გახდნენ უკან დაეხიათ, რომლის დროსაც მათ თავისი შემადგენლობის ნახევარზე მეტი მოუკლეს.

ბატონყმობის გაუქმება საქართველოში

(რეფორმის 75 წლისთავისათვის)

პაატა გუგუშვილი

მეფის რუსეთი გვიან დაადგა კაპიტალისტური განვითარების გზას. ბატონყმობა დიდხანს ბორკავდა მრეწველობას. „ყმათა იძულებითი შრომა იძლეოდა შრომის დაბალ ნაყოფიერებას სოფლის მეურნეობაში. ეკონომიური განვითარების მთელი მსვლელობა ბიძგს იძლეოდა ბატონყმობის მოსპობისათვის"; [1] 60-იანი წლების დასაწყისში ამ მხრივ ნიადაგი მზად იყო ამიერ-კავკასიაშიც.

საქართველოში მე-19 საუკუნის დასაწყისიდან მოყოლებული ცარიზმისაგან ზურგგამაგრებული თავადაზნაურობა სულ უფრო აფართოებდა თავის უფლებებს ყმებისა და ადგილმამულის მიმართ; თავადები ძალით ეპატრონებოდნენ თავისუფალ გლეხებს და ხშირად მთელ თემებსაც კი. ძლიერი მებატონეები იტაცებდნენ და ითვისებდნენ საეკლესიო-სამონასტრო და სახაზინო (საუფლისწულო) სოფლებს; ითვისებდნენ სათემო ტყეებს, საბალახოებს, სათიბებს, აგრეთვე ნადირობისა და თევზაობის პრივილეგიას; სარწყავი და პირუტყვის სასმელი წყლით მონოპოლიურად სარგებლობდნენ. შორს წაგვიყვანდა თუნდაც უბრალო ჩამოთვლა იმ ბეგარებისა, რომელთაც ყმა-გლეხები მებატონეებს უხდიდნენ და რომელთა სიმძიმე სულ უფრო იზრდებოდა. გარეშე ეკონომიურ იძულებაზე დამყარებული ექსპლოატაციის ნორმები ისე ფართო იყო, რომ სახელმწიფოსა (მიტროპოლიას) და ეკლესიასთან ერთად მემამულეს მიჰქონდა არა თუ მთელი ზედმეტი პროდუქტი, არამედ ხშირად აუცილებელის დიდი ნაწილიც. მეფის მთავრობა მებატონის ადგილ-მამულისა და ყმათა გამგებლობაში სრულებით არ ერეოდა. ხოლო ნატურალურ ბეგარა - გამოსაღებთა ნაწილობრივი კომუტაციისა და გაცვლა-გამოცვლის განვითარებამ კიდევ ახალი მძარცველი შესძინა გლეხობას: ვაჭარი და მევახშე.

კოლონიური ძარცვით, ეროვნული ჩაგვრით, ფეოდალური ყვლეფით და სხვ. უკიდურესად შევიწროებული გლეხობა თავგანწირული და გმირული ბრძოლებით, ამბოხებებით, მებატონეთა ოჯახების ამოხოცვით, ბეგარების გადახდაზე უარით უპასუხებდა ცარიზმისა და თავადაზნაურობის განუკითხავ პარპაშს. თვით რეფორმის წინა წლებში ამიერ-კავკასიის სხვადასხვა კუთხეებში ადგილი ჰქონდა მთელ რიგ გლეხურ მასობრივ ამბოხებებს.

თავადაზნაურობა, მოელოდა რა ყმათა განთავისუფლებას, ცდილობდა რაც შეიძლება მეტი გამოეჭაჩა მათგან და, როგორც იმდროინდელი ხალხური ლექსი გადმოგვცემს,

„დაეხვივნენ თავის ყმასა,
ძლიერ დაუწყეს ძალობა
საცხოვრებელი წაართვეს,
დაუწყებინეს ნანობა"...

თავადაზნაურობა ბატონყმობის გაუქმების წინააღმდეგი იყო. აი რას სწერენ გორის მაზრის 74 თავადი და აზნაური: „რა რომ გლეხებს თავისუფლება გამოეცხადებათ, ჩვენი ოჯახები მაშინვე დაეცემიან; ჩვენ კარით-კარად უნდა ვეთრიოთ და მოწყალება ვითხოვოთ; აღარ გვეყოლება მოსამსახურე, აღარც ვენახებისა და მიწის შემმუშავებელი, აღარც საქონლისათვის მწყემსი და აღარც შვილების გამზრდელი ძიძა", გლეხი კი „გაჩენილია ამგვარი საქმისათვისო".

ბნელეთისმოციქულთა ასეთი ბრბოს წინააღმდეგ მაინც გამოდის გლეხობის ინტერესებისათვის ქართველი პროგრესული ინტელიგენცია. განსაკუთრებით აღსანიშნავია **ილ. ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ნიკო ჭავჭავაძე და კონსტანტინე მამაცაშვილი.** ილია და ნიკო ჭავჭავაძეები და კ. მამაცაშვილი **მოითხოვენ გლეხობის მიწიანად განთავისუფლებას და ყოველგვარი პირადი ბეგარების დაუყოვნებლივ გაუქმებას.** კ. მამაცაშვილი აცხადებს, რომ „გლეხობის ყოფაცხოვრების კეთილ წარსამართავად, შემდეგ განთავისუფლებისა, მიუცილებლად საჭირო არის, რომ გლეხს მიწა ჰქონდეს; თუ არა, თავისუფლება უმიწო გლეხისა იქნება მხოლოდ ქაღალდით და არა საქმითო".

მაგრამ ასეთ გამოსვლებს მემამულეები ადვილად როდი იტანდნენ. **კ. მამაცაშვილი** იძულებული გახდეს მისი აზრი თვითონვე უარეყო და თავისი ტრაქტატი დაეხია; ხოლო **ილ. ჭავჭავაძეს** თავადები სატევრით გამოეკიდნენ, მოკვლას უპირებდნენ. გლეხობის აუტანელი მდგომარეობისა, დრტვინვისა და აღშფოთების გამომხატველ **აკაკისა** და **ილიას** ლექსებს ცენზურა კრძალავდა, ხოლო მემამულეები მათ მამაპაპათა შემგინებლებს უწოდებდნენ.

საერთოდ მემამულეთა ძირითადი მასა მოითხოვდა რომ 1. ყმები გაეთავისუფლებინათ უმიწოდ; 2. გლეხთა პირადი განთავისუფლებისათვის მებატონეებს ფული მიეღოთ ხაზინიდან; 3. გლეხებს ისეთ პირობებში და ისე მცირე რაოდენობით მისცემოდათ სანადელო მიწები, რომ მებატონეთა ადგილმამული და სახლკარი უზრუნველი ყოფილიყო გლეხის მუშა-ხელით; 4. „დროებით ვალდებული" გლეხი თავისი ნადელის გამოსყიდვის საქმეში რაც შეიძლება არახელსაყრელ პირობებში ყოფილიყო ჩაყენებული, — რათა იგი გამოუვალად დარჩენილიყო „დროებით ვალდებულის" მდგომარეობაში.

თბილისის გუბერნიის გლეხთა ყმობიდან განთავისუფლების ბრძანებულებას იმპერატორმა **ალექსანდრე II-მ ხელი მოაწერა ნიცაში 1864 წ. 13 ოქტომბერს;** ეს ბრძანებულება თბილისში, გორში, თელავსა და სიღნაღში გამოქვეყნებულ იქნა იმავე წლის 8 ნოემბერს. 1865 წ. 13 ოქტომბერს დამტკიცებულ იქნა დებულება და ბრძანებულება ქუთაისის გუბერნიის ყმაგლეხთა განთავისუფლების შესახებ, რაც ქ. ქუთაისში გამოქვეყნდა იმავე წლის 8 ნოემბერს. სამეგრელოში — რომელიც მაშინ კიდევ არ შედიოდა ქუთაისის გუბერნიაში — ბრძანებულება ბატონყმობის გაუქმების შესახებ ხელმოწერილ იქნა 1866 წ. 1 დეკემბერს, ხოლო გამოქვეყნდა 1867 წ. 19 თებერვალს; აფხაზეთსა და სამურზაყანოში ბატონყმობის გაუქმების შესახებ დებულების პროექტი დამტკიცდა 1870 წ. 8 ნოემბერს, ხოლო სადადიშქელიანო სვანეთში — 1871 წ. 8 ნოემბერს.

ამ დებულებებში ნათქვამი იყო: „ყმობა მემამულეთა მიწებზე დასახლებული გლეხობისა და შინაყმათა ისპობა სამუდამოდ"... „**მიწა წარმოადგენს განსაკუთრებულ საკუთრებას თავადაზნაურობისა.** მემამულეები, ინარჩუნებენ რა საკუთრების უფლებას მთელს მათს კუთვნილ მიწებზე, დადგენილ ბეგარათა მიხედვით გლეხობას მუდმივ სარგებლობაში აძლევენ საკარმიდამო მიწას და ამას გარდა, მათი ყოფაცხოვრების უზრუნველსაყოფად, მათ მიერ მთავრობისა და მემამულეთა წინაშე თავიანთ ვალდებულებათა შესასრულებლად, სახნავი და სხვა ვარგისი მიწების განსაზღვრულ რაოდენობასო".

ამგვარად, უნდა მომხდარიყო აქამდე გლეხობის სარგებლობაში მყოფი მიწების მნიშვნელოვანი ნაწილის გადასვლა მემამულეთა ხელში, ხოლო ის მიწა (უკეთ მიწის ის ნაწილი), რომელიც ძველთაგანვე გლეხობის სარგებლობაში იყო, ახლა გლეხობას ეძლეოდა არა მუქთად, არამედ მხოლოდ გამოსყიდვის გზით.

რეფორმის ჩასატარებლად ადგილებზე შეიქმნა საგლეხო საქმეთა საგანგიოები (**присутствие**) და დაინიშნენ მომრიგებელი შუამავლები, რომელთა ამოცანას შეადგენდა საწესდებო სიგელის (**уставная грамота**) შედგენა. ამ სიგელში აღინუსხებოდა: განთავისუფლებული გლეხები; მიწის ფართობი, რომელიც გლეხთა სარგებლობაში იმყოფებოდა; თუ რამდენი მიწა უნდა ჩამოეჭრა მემამულეს გლეხებისათვის, ე. ი. რამდენი მიწა უნდა გადასულიყო გლეხთა სარგებლობიდან მემამულის ხელში; ამ სიგელშივე უნდა ყოფილიყო ზუსტად გამოანგარიშებული გლეხთა ყოველგვარი ბეგარა-ვალდებულებანი. საწესდებო სიგელი განსაზღვრავდა იმ ურთიერთობას, რომელიც რეფორმის შემდეგ მყარდებოდა მემამულესა და ყოფილ ყმებს შორის; უკანასკნელნი ამიერიდან წარმოადგენდნენ „დროებით ვალდებულ" გლეხთა წოდებას. [2]

„ყოფილი" მებატონე „დროებით ვალდებული" გლეხობის მიმართაც ინარჩუნებდა საპოლიციო ძალაუფლებას და სასოფლო თემის განაჩენთა შეჩერების უფლებას. „დროებით ვალდებულ" გლეხს მემამულისათვის უნდა ეხადა ღალა, რომელიც გადაიყვანებოდა ფულზე. „დროებით ვალდებული" გლეხის ამ მდგომარეობიდან გამოსვლა შეიძლებოდა გამოსყიდვითი ოპერაციებით.

მემამულესთან ნებაყოფლობითი შეთანხმების მიხედვით გლეხს უფლება ჰქონდა გამოესყიდა მიწა, ე. ი. ბეგარები, რომელთაც მემამულეს უხდიდა. ამის შემდეგ „დროებით ვალდებული" გლეხი იქცეოდა „მესაკუთრე გლეხად". მაგრამ გამოსყიდვითი ოპერაცია არ იყო სავალდებულო. მემამულეს სურვილისამებრ შეეძლო დაეტოვებინა გლეხი „დროებით ვალდებულის" მდგომარეობაში ანდა, თვით გლეხის სურვილის წინააღმდეგაც, გადაეყვანა იგი გამოსყიდვით ოპერაციაზე.

საბოლოო ანგარიშით გლეხს უმცირდებოდა სანადელო მიწა, ხოლო უდიდდებოდა საღალო გადასახადი. საგლეხო რეფორმის ამ მხარის შესახებ **ვ. ლენინი** სწერდა, რომ „მთელი ეს გამოსასყიდელი ოპერაციები — სხვა არაფერია, თუ არ კანონიერი ფორმით და ჩინოვნიკური ფრაზებით მიჩქმალული ძარცვა გლეხობისა მემამულეებისა და მთავრობის მიერ, სხვა არაფერია, თუ არა ხარკი, გადახდილი მებატონეებისათვის მათი მონების განთავისუფლების გამოო".

„დროებით ვალდებულ" გლეხთა ინსტიტუტმა ძირითადად 1917 წ. რევოლუციამდე მოაღწია. მხოლოდ 1912 და 1913 წ. წ. იქნა გამოცემული კანონი „დროებით ვალდებულ" გლეხთა წოდების ლიკვიდაციის შესახებ და ამ დროიდანაც მეტად მძიმე პირობებში მიმდინარეობდა ეს პროცესი, სანამ 1917 წ. რევოლუციის შემდეგ გლეხობამ უარი არ განაცხადა გამოსასყიდელი გადასახადის შეტანაზე. ამავე დროს შიდა რუსეთის გუბერნიებში „დროებით ვალდებულ" გლეხთა ინსტიტუტი მოისპო ჯერ კიდევ 1883 წ., ხოლო 1906 წ. მოისპო გამოსასყიდელი გადასახადიც. მაგრამ საქართველოს გლეხობის მდგომარეობის სიმძიმე ამ მხრივ გამოიხატებოდა არა მხოლოდ დროის ხანგრძლივობაში, არამედ იმაშიაც, რომ ის ღალა, რომელსაც, მაგალითად, საქართველოში „დროებით ვალდებული" გლეხი მემამულეს უხდიდა, 6-7-ჯერ აღემატებოდა შიდა რუსეთში არსებულს; ხოლო გამოსასყიდელი განაკვეთი საქართველოში იმდენად მაღალი იყო, რომ აქ 1 დესეტინა სანადელო მიწის გამოსასყიდელი თანხა საშუალოდ ორჯერ აღემატებოდა შიდა რუსეთში არსებულ განაკვეთს.

○

რეფორმა ჩატარდა ფაქტიურად ფეოდალ-მემამულეთა მიერ ნაკარნახევ პირობებში. 1906 წელს ამხანაგი სტალინი სწერდა: „მართალია, გლეხობამ მთავრობისაგან მოიპოვა მცირე პირადი თავისუფლება, აიძულა რა ამით იგი ანგარიში გაეწია ხალხის გულისწყრომის ძალისათვის... მაგრამ რას ნიშნავს გლეხობისათვის მარტო ასეთი პირადი თავისუფლება, როცა მას მიწა და ნამდვილი თავისუფლება არა აქვს!"

შიდა რუსეთთან შედარებით, საქართველოში რეფორმის გატარებით მებატონეებმა უფრო მეტ უპირატესობებს მიაღწიეს, ხოლო „განთავისუფლებული" გლეხობა ბევრად უარეს მდგომარეობაში ჩავარდა.

თბილისის გუბერნიაში გლეხობის ხელში იყო მთელი მიწების 26,9%. ქუთაისის გუბერნიაში კი — მხოლოდ 13,3%. აქედან გასაგებია, თუ რატომ დასავლეთ საქართველოში იყო აგრარული მოძრაობანი უფრო ხშირი და უფრო მწვავე ხასიათისა, ვიდრე ამიერ-კავკასიის სხვა კუთხეებში.

რეფორმა, როგორც **ვ. ლენინი** სწერს, იყო „მებატონეთა მიერ გატარებული რეფორმა. ეს იყო რუსეთის ბურჟუაზიულ მონარქიად გადაქცევის გზაზე გადადგმული ნაბიჯი". მაგრამ რუსეთთან და განსაკუთრებით პოლონეთთან შედარებით საქართველოში ეს რეფორმა უფრო მეტად იყო მებატონური და უფრო ნაკლებად ბურჟუაზიული.

რეფორმების შედეგად გლეხების ექსპროპრიაცია, ე. ი. უმიწოდ დარჩენა ჩვენს პირობებში უფრო მეტად ნიშნავდა არა კაპიტალისტური სარეწაოებისათვის თავისუფალი მუშათა კლასის შექმნას, არამედ იმავე მებატონეთა მიწების კაბალურ, ე. ი. ფაქტიურად უფრო ყმა მოიჯარეთა წარმოქმნას.

და აი რეფორმის შემდეგ ასეთ მდგომარეობაში ჩავარდნილი იმერელი გლეხი მოსთქვამდა:

„რათი უნდა დავიჯეროთ ბატონყმობის
დაშორება?
თავადებმა სამსახური ახლა უფრო
გააძნელა,
მეთიხედი სარჩო გვთხოვეს და
მინდორშიდ საბალახე,
ტყეშიდ სულ აღარ შეგვიშვეს, ასე
მოხდა ჩვენი საქმე".

ასეთ პირობებში, რასაც ცარიზმის ადმინისტრაციის თვითნებობაც ემატებოდა, ყოველთვის მზად იყო ნიადაგი აგრარული მოძრაობისათვის, რომელიც ხშირად აშკარავდებოდა გლეხობის გააფთრებული ამბოხებებით. მაგალითად, 1905 წ. რევოლუციის პერიოდში აგრარული მოძრაობა მოითხოვდა: „დროებით ვალდებულ" გლეხთა მიერ მემამულეთათვის ღალის გადახდის მოსპობას, დიდიხნის წინათ დადგენილი მიწის საიჯარო ფასის შემცირებას, ანდა გლეხები უარს აცხადებენ რა საერთოდ მიწის იჯარით აღებაზე, მოითხოვენ მემამულეთა მიერ მითვისებული საბალახოებით, სათიბებითა და ტყეებით მუქთად სარგებლობას.

1906 წ. ამხ. **ი. სტალინი** სწერდა, რომ „სოფლის დღევანდელი მოძრაობა—ესაა გლეხთა განთავისუფლების მოძრაობა", გლეხთა განთავისუფლებისათვის - კი, როგორც ამხანაგი **სტალინი** იქვე აღნიშნავს, „აუცილებელია **ბატონყმობის** ნაშთების მოსპობა, ხოლო ამ ნაშთების მოსასპობად აუცილებელია მემამულეთა და სახელმწიფოს მთელი მიწების კონფისკაცია". [3]

ამგვარად, როგორც ამხ. **ლ. პ. ბერია** სწერს, „ამიერ - კავკასიის სოფელში უფრო მეტად იყო დარჩენილი ბატონყმობის ნაშთები, ვიდრე რუსეთის ცენტრალურ რაიონებში. მიწის მწვავე სიმცირემ, ველურმა ექსპლოატაციამ მემამულეებისა და თავადაზნაურების მხრივ, ყაჩაღურმა საგადასახადო პოლიტიკამ და მეფის თვითნებობამ, სავაჭრო კაპიტალის შეჭრამ სოფლად მეტად ბეჩავ მდგომარეობაში ჩააყენა ამიერ-კავკასიის გლეხობა და ხელი შეუწყო მის რევოლუციურობას". [4]

ამიერ-კავკასიისა და კერძოდ საქართველოს გლეხობაში რევოლუციური მოძრაობის გაძლიერებას ზემოხსენებულ პირობებთან ერთად განსაკუთრებით ხელი შეუწყო სოფლებიდან ამიერ-კავკასიის ქალაქებში, სამრეწველო ცენტრებში საშოვარზე გასულმა გლეხობამ. ამ ქალაქებში გლეხობა ეზიარა სიდიადეს პროლეტარული მოძრაობისა, რომელიც დაწინაურებული იყო მუშათა კლასის გენიალური ბელადის დიდი **სტალინის** შეუდრეკელი რევოლუციური მოღვაწეობით.

საბჭოთა ხელისუფლებამ მემკვიდრეობით მიიღო ტექნიკურად და ეკონომიურად თითქმის განადგურებული სოფლის მეურნეობა: „ერთი გუთანი 15 კომლზე, ერთი სახნისი სამ მეურნეობაზე — აი ამიერ-კავკასიის სასოფლო მეურნეობის „ტექნიკური შეიარაღება" 1920 წელს, საბჭოთა ხელისუფლებამდე. მოსავლის ნახევარზე მეტს ეპატრონებოდა მემამულე მიწის იჯარისათვის, მიწის ნაკვეთზე წყლის გაშვების უფლებისათვის. დანარჩენი მოსავლის საგრძნობი ნაწილი მიჰქონდა კულაკს..." [5]

მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების, საკოლმეურნეო წყობილების პირობებში სამუდამოდ დააღწია თავი მშრომელმა გლეხობამ მემამულეს, მევახშეს, ვაჭარ-შემსყიდველს, ხუცესს, კულაკს და სხვა ათასი ჯურის მყვლეფელსა და მჩაგვრელს და შექმნა სტალინური მზით გაბრწყინვებული საამური ცხოვრება, როდესაც უსაზღვროდ გადაჭიმულ სოციალისტურ მინდვრებზე გლეხის შრომა გმირობის შარავანდედით იმოსება და, მშრომელთა კეთილდღეობისათვის ამოძრავებული, მოსავლიანობისა და შრომის ნაყოფიერების უმაღლეს საფეხურებს აღწევს.

---

[1] „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი" გვ. 5.

[2] იხ. „სჯულთ-დებანი გლეხთათვის გამოსულთა ყმობითის დამოკიდებულებისაგან ტფილისის გუბერნიაში". 1864. პეტერბურგი, § 5-84.

[3] ი. ბესოშვილი (სტალინი), „აგრარული კითხვის გამო", იხ. გაზ. „ელვა" 1906 წ. № 5, 9-14.

[4] ლ. პ. ბერია, „ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზ. ისტორ. საკითხისათვის, 1938 წ. თბ. გვ. 54

[5] ლ. პ. ბერია, „ამიერ-კავკასიის ბოლშევიკები სოციალიზმისათვის ბრძოლაში", 1934. თბ. გვ. 22-23.

ნული ბიბლიოთეკა

ოქტომბერი მეცხოველეობის ფერმების დაკომპლექტების გადამწყვეტი თვეა

მეცხოველეობის ფერმების დაკომპლექტებას სუსტად ხელმძღვანელობენ

(გორი, „კომუნისტის“ კორესპონდენტისაგან)

კოლმეურნეობებში საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარების ღონისძიებათა შესახებ სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მიმდინარე წლის 8 ივლისის დადგენილების განხორციელებას გორის რაიონული და ძირეული პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციები ჯერ კიდევ შესაფერ ყურადღებას არ აქცევენ. აღნიშნული დადგენილების გატარებაზე პარტრაიკომის ბიურომ და რაიაღმასკომის პრეზიდიუმმა მხოლოდ 21 აგვისტოს იმსჯელეს. გამოირკვა, რომ უსარგებლო, წვრილი ფერმები მოწყობილია ხიდისთავის, მეჯვრის, შინდისის, ფხვენისის, თედოწმინდის, დიდიხურვალეთისა და სხვა კოლმეურნეობებში. რაიონში პირუტყვის შესაძენად კოლმეურნეობებისათვის მიწოდებული 145.000 მანეთი სესხიდან აგვისტოს ბოლოს ათვისებული იყო 110.700 მანეთი (76 პროცენტი), მეცხოველეობის ფერმები სრულიად არ იყო მოწყობილი 120 კოლმეურნეობაში.

პარტრაიკომის ბიურომ და რაიაღმასკომის პრეზიდიუმმა დასახეს ღონისძიებანი, რომლებშიაც ძირითადი მუხლი იყო ახალი ფერმების მოწყობა და წვრილი ფერმების გამსხვილება, პირუტყვის შეძენა. მაგრამ ეს დავალება ბევრგან არ შესრულებულა, ან მეტად ნელი ტემპით სრულდება.

5 სექტემბერს პარტრაიკომის ბიუროს და რაიაღმასკომის პრეზიდიუმს კვლავ მოუხდათ აღენიშნათ, რომ რაიონის კოლმეურნეობებში ფერმების დაკომპლექტება თვითდინებაზეა მინდობილი (შრომისუბანი, ჩარხისუბანი, კვარხითი, ტირძნისი, საქაშეთი, ყელქცეული, არაშენდა, ჯებირი და ვანიანთუბანი).

გავიდა დრო, მაგრამ რაიმიწგანისა და კოლმეურნეობათა ხელმძღვანელი მუშაკების უყურადღებობის გამო დასახულ ღონისძიებებს ადგილებზე საჭირო გარდატეხა არ გამოუწვევია, მათი განხორციელებისათვის შესაფერი ზომები არ მიუღიათ.

მეცხოველეობის განვითარების საკითხები 26 სექტემბერს კვლავ გადაიქცა პარტიის რაიკომის ბიუროსა და რაიაღმასკომის პრეზიდიუმის მსჯელობის საგნად. რაიკომის ბიუროს 26 სექტემბრის დადგენილებით რაიმიწგანს (გამგე ამხ. გ. ბალამწარაშვილი) დაევალა კოლმეურნეობათა გამგეობების მუშაობის შემოწმება იმ მხრივ, თუ როგორ ასრულებდნენ და ასრულებენ ისინი პარტბიუროს და რაიაღმასკომის პრეზიდიუმის 21 აგვისტოსა და 5 სექტემბრის დადგენილებებს მეცხოველეობის ფერმების დაკომპლექტების შესახებ. შემოწმების შედეგები რაიკომის ბიუროზე უნდა განხილულიყო 2 ოქტომბერს.

რაიკომის ბიუროს სხდომა მართლაც ჩატარდა 2 და 7 ოქტომბერს, მაგრამ ვინაიდან მიწგანის მუშაკებმა დავალების შესრულება „ვერ მოახერხეს“,—შემოწმების შედეგები პარტრაიკომს არ განუხილავს.

რა დასკვნა შეიძლება გავაკეთოთ აქედან?—მხოლოდ ერთი: პარტრაიკომი და რაიაღმასკომი თანამიმდევრობით ვერ აწყობენ მეცხოველეობის განვითარების საკითხებზე გამოტანილ დადგენილებათა შესრულებას, რაიონში ზოგიერთ კოლმეურნეობაში ჯერ კიდევ შესაფერი ყურადღება არ ექცევა სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1939 წლის 8 ივლისისა და 16 სექტემბრის დადგენილებათა განხორციელებას.

სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში აღნიშნული იყო, რომ სექტემბერი და ოქტომბერი გადამწყვეტი თვეებია მეცხოველეობის საკოლმეურნეო ფერმების დაკომპლექტების საქმეში. მიუხედავად ამისა, გორის პარტრაიკომმა, რაიაღმასკომმა და რაიმიწგანმა 7 ოქტომბერსაც არ იცოდნენ, თუ რა მდგომარეობაა რაიონში მეცხოველეობის ფერმების დაკომპლექტების მხრივ, რა შესაძლებლობა აქვს ამა თუ იმ კოლმეურნეობას მოზარდეულისა და მოზრდილი პირუტყვის შესაძენად, სად იწყობა მეცხოველეობის ახალი ფერმები და სხვ.

გორის რაიმიწგანის არასრული და თან ძველი ცნობებით ამჟამად რაიონის 158 კოლმეურნეობიდან მეცხოველეობის ფერმები მოწყობილია მხოლოდ 48 კოლმეურნეობაში, მათშია 176 სული ძროხა, 84 ღორი, 1.299 ცხვარი და თხა, გარდა ამისა რაიონის მხოლოდ ზოგიერთ კოლმეურნეობაში შეუდგნენ არსებული ფერმების გამსხვილებას და ახალი ფერმების მოწყობას. ფერმებისათვის შესასყიდი ძროხები აღირიცხეს ტირძნისის, მეღვრეკისის, პატარაგარეჯვრისა და დიდიგარეჯვრის კოლმეურნეობებში. ახალი ფერმის შესაქმნელად მოზარდეული შეიძინა აგრეთვე სოფელ ოხერას კოლმეურნეობამ, მეცხოველეობის ორი ახალი ფერმა მოეწყო სოფ. ბერბუკის და ქეჭელაანთუბნის კოლმეურნეობებში, მაგრამ ყველაფერი ეს ძალიან მცირეა იმ შესაძლებლობასთან შედარებით, რაც რაიონს მოეპოვება.

ს. ყურაშვილი

არ ზრუნავენ

(წულუკიძე, „კომუნისტის“ კორესპონდენტისაგან)

წულუკიძის რაიონის კოლმეურნეობებში გეგმის მიხედვით უნდა ჩამოყალიბებულიყო მესაქონლეობის 29 ფერმა, მეცხვარეობის — 30 და მეღორეობის — 48 ფერმა. მიუხედავად ამისა, რაიონის კოლმეურნეობებში დღემდე შეძენილია მხოლოდ 4 ძროხა, 40 დეკეული, 14 ხბო, 4 დედალორი და 9 ცხვარი.

ზოგიერთებმა აქ ჯერ კიდევ ვერ შეიგნეს, რომ ოქტომბერი გადამწყვეტია მეცხოველეობის ფერმების დასაკომპლექტებისათვის. სოფ. გორდის — გეგეჭკორის, ნოღის — ვოროშილოვის, წულუკიძის მეორე უბნის მოლოტოვის სახელობის და რაიონის სხვა მთელ რიგ კოლმეურნეობათა გამგეობებს დღემდე არავითარი პრაქტიკული ნაბიჯი არ გადაუდგამთ ფერმების დასაკომპლექტებლად.

სუსტად მიმდინარეობს პირუტყვის გამოზამთრებისათვის მზადება. სოფ. გორდის გეგეჭკორის სახელობის კოლმეურნეობას უნდა აეშენებინა ბოსელი 50 სული პირუტყვისათვის, მაგრამ დღემდე მშენებლობა არც კი დაუწყია.

ქვიტირის კიროვის სახელობის კოლმეურნეობის გამგეობამ ახლად აშენებული ბოსლების გადახურვაც ვერ მოახერხა. ასეთივე მდგომარეობაა საწისქვილეს ბაქრაძის სახელობის კოლმეურნეობაშიც.

რაიონის 49 კოლმეურნეობაში მეღორეობისა და მეთხეობის ფერმებისათვის არ გაჩნიათ ფარეხები და საგოჭეები.

წულუკიძის რაიონის 14 საკოლმეურნეო ფერმის 1500 სული პირუტყვი ზამთრისათვის ქალადიდის საზამთრო საძოვრებზე უნდა გაირეკოს. მიუხედავად იმისა, რომ ზამთარი მოახლოებულია, ფერმებისათვის ჯერ კიდევ არ არის გამონახული ბინები. მთელ რიგ კოლმეურნეობათა ფერმები თივითაც არ არიან უზრუნველყოფილი. სოფ. ჯიხაიშის კოლმეურნეობა „ლენინის გზის“ თავმჯდომარემ ნ. ცაგარეიშვილმა სხვა კოლმეურნეობას მიჰყიდა თივა, როცა მის კოლმეურნეობას საკმარისი თივა არ გააჩნია.

ზამთარი კარზეა მომდგარი. წულუკიძის პარტრაიკომმა, რაიაღმასკომმა და რაიმიწგანმა საჭირო დასკვნები უნდა გააკეთონ არსებული მდგომარეობიდან.

ტ. ჩიქოვანი

განვამტკიცოთ სოციალისტური მეცხოველეობა

(ქუთაისი, „კომუნისტის“ კორესპონდენტისაგან)

კოლმეურნეობებში საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარების ღონისძიებათა შესახებ სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის დადგენილების რეალიზაციისათვის ქუთაისის რაიონში თვალსაჩინო მუშაობა ჩატარდა. საქ. კ. პ. (ბ) ქუთაისის რაიკომის პლენუმმა სპეციალურად განიხილა ეს საკითხი. შედგენილი და დამტკიცებულია ფერმების მშენებლობის გეგმა ცალკეული კოლმეურნეობების მიხედვით.

ნახშირღელის, სიმონეთის, ნაგარევის, ნამახვანის, ჰოგნარის, ქუტირის და სხვა სასოფლო საბჭოებში შემავალ კოლმეურნეობებში გეგმით გათვალისწინებული პირუტყვით უკვე ჩამოაყალიბეს მსხვილფეხა საქონლის 9 ახალი ფერმა, მეღორეობის—12 და მეთხეობის 3 ფერმა.

მაგრამ რაიონში ჯერ კიდევ არიან ისეთი სასოფლო საბჭოები და ცალკეული კოლმეურნეობები, რომელთაც დღემდე პრაქტიკულად არ გადაუდგამთ ნაბიჯი ფერმების ჩამოყალიბებისათვის. მაგალითად, სოფელ მექვენაში—კალინინისა და მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობებს, აგრეთვე კოლმეურნეობა „ოქტომბრის სხივს“ და „წითელ მექვენას“ გეგმის მიხედვით უნდა ჩამოეყალიბებინათ ორ-ორი ფერმა—მსხვილფეხა საქონლისა და მეთხეობისა, მაგრამ დღემდე არაფერი გაუკეთებიათ.

უკეთესი მდგომარეობა არც რიონის სასოფლო საბჭოშია. აქ 4 კოლმეურნეობაში 8 ფერმა უნდა ჩამოყალიბდეს. მაგრამ მუშაობა არ დაუწყიათ. კოლმეურნეობა „წითელი ვარსკვლავი“ (თავმჯდომარე—ლ. ძოწენიძე), „წითელი ზარათი“ (ც. მაღლაფერიძე) სტალინის სახელობის (შ. ბოჭორიშვილი) და ბერიას სახელობის (დ. ხინთაძე) კოლმეურნეობები აშკარა უსულგულობას იჩენენ მეცხოველეობის შესახებ პარტიისა და მთავრობის დადგენილების რეალიზაციისათვის.

რაიონის ყველა კოლმეურნეობას სრული შესაძლებლობა აქვს ჩამოაყალიბოს გეგმით გათვალისწინებული ფერმები, მაგრამ ეს საშუალება გამოუყენებელია. გაუგებარია, რაიონის ხელმძღვანელი ორგანიზაციები რატომ არ აქცევენ ამ მდგომარეობას შესაფერ ყურადღებას.

ივ. გვასალია

„ნაპერწკლიდან“ ა. ს. გრიბოედოვის თეატრში

ქართველი ხალხის სახელოვანი შვილის ამხანაგ **ლავრენტი ბერიას** შესანიშნავი შრომა „ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის“ საბჭოთა ხელოვნებისათვის დიდხანს დარჩება მაღალი მხატვრული შემოქმედების დაუშრეტელ წყაროდ. შალვა დადიანის პიესამ „ნაპერწკლიდან“, რომელიც უკვე მესამე სეზონია მიდის ჩვენი ქვეყნის მოწინავე თეატრებში და ყოველთვის შეუნელებელი ინტერესისა და ღრმა ესთეტიკური სიამოვნების აღმძვრელი არის, საუკეთესო მაგალითია იმისა, თუ რამდენად დღეგრძელი ხელოვნების ნიმუშები შეუძლია შეჰქმნას ამ ძვირფას ისტორიულ ნაწარმოებს დაუფლებულმა ხელოვანმა.

ახლა, როცა ჩვენი დიადი სამშობლოს ხალხი დაძაბული გულისყურით ეცნობა და ღრმა განცდით კითხულობს ბოლშევიკური პარტიის გმირული ისტორიის ამაღლევებელ სტრიქონებს, შალვა დადიანის პიესის დიდი შემეცნებითი ღირებულება თანდათან ფასდაუდებელი ხდება.

პიესის ისტორიული პერსონაჟი მოცემულია ისეთ ფონზე, რომელიც თეატრს საშუალებას აძლევს თავისებურად გაიაზროს თვითეული ისტორიული ფაქტი, თავისებურად ააწყოს ტექსტი და სცენიურად ორიგინალურად გადასჭრას სპექტაკლი. ამიტომ არის, რომ ამ პიესის დადგმა სხვადასხვაგვარად არის გადაწყვეტილი ჩვენი თეატრების სცენებზე. პიესაში მოცემული ლიტერატურული მასალა შემოქმედების ფართო გაქანების საშუალებას აძლევს დამდგმელ-რეჟისორს და აქტიორს, ხელს უწყობს მათ ისეთი სპექტაკლის შექმნაში, რომელიც არ ეგვანება მეორეს და ამდენად შორს იქნება თეატრალური შტამპისაგან.

სწორედ ასეთი სპექტაკლი მოგვცა ა. ს. გრიბოედოვის სახელობის სახელმწიფო რუსული დრამის თეატრმა. მართალია, აქ ამ პიესის დადგმა დაგვიანდა, მაგრამ სამაგიეროდ მაყურებელმა მიიღო სცენიურად კარგად შეკრული წარმოდგენა. რეჟისორის მუშაობაში (დადგმა ეკუთვნის **ა. ი. რუბინს**) გამოსჭვივის დამდგმელის მკვეთრი სცენიური გამომსახველობის უნარი და მიზანსცენების მაღალი ოსტატობა, რაც ხელსაყრელ პირობას უქმნის მსახიობის თამაშს.

მაგრამ არის ერთი გარემოება, რომელიც სწორად არ წარმართავს ზოგი მსახიობის მუშაობას პიესის იდეის მისატანად მაყურებელთან. გარკვეული ნაციონალური სტილის სპექტაკლის შესაქმნელად დადგმის ავტორებს, ვფიქრობთ, სრულებითაც არ უნდა დასჭირვებოდათ აქცენტის ამნისტირება, მით უმეტეს, როცა პიესა სამისო ლიტერატურულ მასალას არ იძლევა. ამისათვის საკმარისია მხოლოდ ის ცხოველმოქმედი ტემპერამენტულობა და მაღალი განწყობა, რომლითაც სავსეა ამ სპექტაკლში აქტიორის თამაში. საკმარისია მაგალითისათვის მივმართოთ თუნდაც ნიჭიერი **ა. სმირანინის** თამაშს, რომელიც მეტიელას როლს ასრულებს. რამდენიმე დამახასიათებელი ორიგინალური შტრიხით ეს მსახიობი ჰქმნის მეტად დასამახსოვრებელ სცენიურ სახეს. ის დარდიმანდულად შემოიჭრება დათიელას ოჯახში, უბიდან ამოისვრის წითელი ბოლოკების კონას. ჯიბეშიც ბოლოკების კონა უძევს, მღერის, ხელებს პარჭყავს... საუცხოო პლასტიკაში მჟღავნდება ყოფილი აზნაური, რომლის ქცევაში დროთა ვითარებას წაუშლია ადამიანური ღირსების კვალი. რა დააკლდებოდა ამ სცენიურ სახეს, მისი მეტყველებიდან აქცენტი რომ ამოვგდოთ? არაფერი. პირიქით, ამით მსახიობი კიდევ უფრო მკვეთრად გახსნიდა იმ ტიპს, რომელიც მარტო 1901 წლის ბათუმის ვითარების პირმშო შვილი კი არა, არამედ უფრო ზოგადი შემკრებელობითი სახეა კაპიტალიზმთან შეგუებული, დამარცხებული და გადაგვარებული არისტოკრატიისა, რომელიც სხვათა შორის ნიშანდობლივი მოვლენა იყო არა მარტო საქართველოში. შეიძლება გულუბრყვილოდ იკითხოს ვინმემ—განა ეს რამეს ვნებს? ხელოვნება ადამიანის აღზრდას ემსახურება, და, რასაკვირველია, ეს მოვლენა ავიწროებს მაყურებლის მსოფლმხედველობის არეს.

ამ შენიშვნით ჩვენ სრულებითაც არ გვინდა ხაზი გადავუსვათ ა. სმირანინის მიერ შექმნილ სცენიურ სახეს. ვიმეორებთ, ეს თეატრის ერთერთი უნიჭიერესი აქტიორული ძალაა, შესანიშნავი სახეების შემოქმედი. მას კარგი გარეგნობა, იშვიათი ძალისა და ტემბრის ხმა, ტემპერამენტი და ჩინებული პლასტიკურობა აქვს. ყოველივე ამ თვისებებს უხვად ამჟღავნებს იგი ამ სპექტაკლშიაც. ამიტომ მისთვის უფრო შეუფერებელი იყო მეტიელას ტიპის განსახიერებისათვის ნაკლები წინააღმდეგობის გზით სიარული.

ა. გრიბოედოვის სახელობის თეატრის სცენიდან მთელი ტექსტის მოსმენის შემდეგ დავრწმუნდით, რომ ამაში მსახიობზე მეტად პიესის თარგმნის ავტორი სცოდავს. წმინდა სპეციფიკური ქართული გამოთქმის ადექვატური რუსული ფრაზის მოსაძებნად მთარგმნელს თავი არ შეუწუხებია და თეატრისათვის მიუცია არასწორი ტექსტი. ამ ტექსტში უცვლელად არის გადატანილი გამოთქმები „ბატონო“, „გენაცვალე“, „შენი ჭირიმე“ და სხვ. ან სიტყვა-სიტყვითაა თარგმნილი ისეთი თქმები, როგორიცაა „ღმერთო მომკალი“ და სხვა. რომელიც პირდაპირი თარგმნით რუსი მაყურებლისათვის არაფრის მთქმელი და უაზროა. ამავე დროს მთარგმნელს დაუკარგავს ბევრი ისეთი ფრაზა, რომელიც ცოცხალი ჰუმორის ნაკვესებივით ბზერს ორიგინალში. სადღაა, მაგალითად, ის ფრთიანი სიტყვა, რომლითაც დათიელა პირველი დანახვისთანავე მიმართავს პარასკევას და მოხდენილად ხატავს ამ გაქნილ დედაკაცს? სადღაა მაგდანას გამკენწლავი დახასიათება დათიელას მოხუცებულობისა? ავტორის ენის ეს ნიუანსები აკლია თარგმანს და ეს არის მიზეზი დამდგმელის იმ შეცდომისა, რომელზედაც ზემოთ გვქონდა ლაპარაკი.

ამ დასანანებელი ნაკლის გარეშე ჩვენ გვაქვს საუცხოო რეალისტური სპექტაკლი, მაღალი მხატვრული გემოვნებით განსახიერებული.

ახალგაზრდა **ი. სტალინს** ანსახიერებს მსახიობი **ვ. დ. ბრაგინი.** მის თამაშში იგრძნობა ის დიდი პასუხისმგებლობა, რომლითაც მსახიობი მოჰკიდებია პიესის ამ ძირითად როლს. მოხდენილი გრიმით მას მიუღწევია პორტრეტული მსგავსებისათვის. მსახიობი არ იშურებს თავის მდიდარ აქტიორულ გამოცდილებასა და ტემპერამენტს ახალგაზრდა ბელადის სცენიური სახის გასახსნელად. ენერგიული ჟესტით, ზომიერი მიმიკით ააშკარავებს იგი „მგზნებარე კოლხიდელის“ შინაგან ცეცხლს, მის სიმტკიცესა და გამარჯვების რწმენას. მაგრამ მას დასჭირდება კიდევ დიდი მუშაობა საკუთარ ხმაზე, რომ უფრო ცხოველმყოფელად წარმოუდგინოს მაყურებელს ახალგაზრდა ბელადი.

ვ. ი. ლენინის როლს ასრულებს ორდენოსანი მსახიობი **კ. კ. მიუფკე,** ამ პიესაშიც კ. მიუფკე არ ღალატობს თავის თავს და იმ მცირე სიტყვიერი მასალითაც ახერხებს დიდი მასწავლებლის დაუვიწყარი სცენიური სახის შექმნას.

ცაბუს როლს თამაშობს მსახიობი **ლ. ა. ვრუბლევსკაია.** მის თამაშში გამოსჭვივის ბუნებრივობა და საკმაოდ მკვეთრი სცენიური ემოციური სიმართლე. ამ მხრივ დაუვიწყარია სცენა ზიკოვის ოჯახში, სადაც იგი ბრალს სდებს თავის ბატონებს, ამართხებს მათ ზნეობას. როდესაც მას უმართებულოდ აყენებენ შეურაცხყოფას, ცაბუ თრთის და ეს თრთოლვა გადმოეცემა უშუალოდ მაყურებელს და ამ დროს მსახიობის თვალებზე შემჩნეული ნამდვილი ცრემლები კიდევ უფრო განაცდევინებენ მას გმირის სულიერ ტანჯვას.

ელიშუქის როლში კარგია მსახიობი **ა. ს. ლიპნიცკი.** რიგითი მებრძოლის მუშის სახე მის მიერ ისეთივე ოსტატობით არის დახატული, [illegible] **ი. ბოდროვის** მიერ.

დათიელას სიმპატიურ პორტრეტს ჰქმნის საქ. სსრ დამს. არტისტი **ი. ოსიპოვი.** ამდენადვე კარგი არიან თავის როლებში **პ. გარინი** (გერვასი), **ა. მიუსარი** (ზიკოვი), **ბ. ვიაზემსკი** (ადვოკატი ბრეგვაძე), **ქ. რადოლინი** (პოლიცმეისტერი) და **ე. ციმოვი** (ლომჯარია). **ა. სმირნოვას** მაგდანას როლში ერთგვარი გაუბედაობა ეტყობა. **ნ. შელეხოვა** დესპინეს მშვენიერ სახეს იძლევა. კარგია **ბ. ბელეცკაიაც** ლილოსის, **ე. გარინა** პარასკევას და **ე. სატინა** ფატის როლებში. ნესტორის როლს ზომიერების გრძნობის მისაბაძი დაცვით ასრულებს **ფ. ბალაბაში.** ვარდენის როლს შესანიშნავი განმასახიერებელი უპოვია მსახიობ **დ. ივანოვის** სახით, მკრთალია თანდილას როლში **ა. აკოფიანი.** დანარჩენი ამსრულებლები სპექტაკლის საერთო წარმატებას ხელს უწყობენ.

დადგმის გაფორმება მხატვარ **ს. ნადარეიშვილის** მიერ სადა და მკაფიო რეალისტურ ფერებშია მოცემული.

სპექტაკლის მუსიკა, რომლის ავტორი **დ. ნ. შველოვია,** ყოველმხრივ ქების ღირსია. განსაკუთრებით საუცხოოდაა გადმოცემული საახალწლო შეხვედრები ლომჯარიას ბინაში და ზიკოვის ოჯახში. მასობრივი ქართული სიმღერები მაღალი ოსტატობით არის დამუშავებული და შესწავლილი დასის მიერ. მათი ოსტატური შესრულება სპექტაკლის ნაციონალურ სტილს საჭირო სიმაღლეზე აყენებს.

საერთოდ სპექტაკლი „ნაპერწკლიდან“ დიდი მონაპოვარია გრიბოედოვის სახელობის თეატრისათვის. იმ ნაკლის გამოსწორების შემდეგ, რომელზედაც ზემოთ გვქონდა საუბარი, ეს იქნება საუცხოო საჩუქარი თეატრისა თავისი მაყურებლისათვის.

ბ. აბულაძე

ა. ს. გრიბოედოვის სახ. თეატრის არტისტი ორდენოსანი კ. კ. მიუფკე **ლენინის როლში**



ა. ს. გრიბოედოვის სახ. თეატრის არტისტი ვ. ბრაგინი ახალგაზრდა **სტალინის როლში.**

„ნაპერწკლიდან“ ა. ს. გრიბოედოვის სახელობის თეატრში. სურათზე — მსახ. ლ. ვრუბლევსკაია (ცაბუ), დ. ივანოვი (ვარდენ), ა. ლიპნიცკი (ელიშუქი), ნ. შელეხოვა (დესპინე) და პ. სმირანინი (მეტიელა).

პროფ. დ. ბლაგოი

ლერმონტოვი და პუშკინი

მ. ი. ლერმონტოვის დაბადებიდან 125 წლისთავისათვის

დიდი თანამედროვენი პუშკინი და ლერმონტოვი ერთმანეთს არ იცნობდნენ. პუშკინმა არაფერი იცოდა ლერმონტოვის შესახებ: ჩვენ არა გვაქვს მისი არცერთი გამოხმაურება ლერმონტოვის თხზულებებზე. ლერმონტოვი კი, პირიქით, აღფრთოვანებით ეპყრობოდა თავისი უფროსი თანამედროვის შემოქმედებას: ერთერთ თავის საბავშვო რვეულში მან გულმოდგინედ გადმოსწერა მისი „ბახჩისარაის შადრევანი“.

თუ როგორ აფასებდა ლერმონტოვი პუშკინს, რა იყო პუშკინი მისთვის, ამას ყველაზე მჭერმეტყველურად მოწმობს ლერმონტოვის ცნობილი ლექსი „პოეტის სიკვდილზე“. ეს ლექსი, დაწერილი პუშკინის ტრაგიკულად დაღუპვისთანავე, არაჩვეულებრივი სისწრაფით გავრცელდა ხელნაწერად ჯერ სატახტო ქალაქში, ხოლო შემდეგ მთელს რუსეთში. „საეჭვოა, რომ ლექსს ოდესმე მოეხდინოს ყველგან ასეთი უდიდესი შთაბეჭდილება“—იგონებდა ამის გამო ერთერთი თანამედროვე. ამ დრომდე უცნობ ახალგაზრდა პოეტზე ყველა ალაპარაკდა.

ნიკოლოზ 1-ს ლექსი მოუტანეს საგულისხმო წარწერით: „მოწოდება რევოლუციისაკენ“. ლერმონტოვის ლექსი, მართლაც, წარმოადგენდა სასტიკ საბრალდებო განაჩენს პუშკინის მკვლელების წინააღმდეგ, რომლებიც „ხარბ ხროვად“ იდგნენ მეფის კარზე. მეფის ბრძანებით ლერმონტოვი დააპატიმრეს და გადაასახლეს კავკასიაში. ასე, პუშკინის მსგავსად, გადასახლებით დაიწყო ახალი პოეტის საზოგადოებრივ-ლიტერატურული მოღვაწეობა.

ორივე პოეტის ბიოგრაფიების მსგავსება ამ მხრივ სრულებითაც არ იყო შემთხვევითი. „თავისუფლებისა“ და „ხანჯლის“ ავტორის—პუშკინის მსგავსად, ლერმონტოვი თავიდანვე უარყოფითად ეკიდებოდა თვითმპყრობელურ-ბატონყმურ წყობილებას. „მსჯავრისმდებელნი მეფეებისაც არის ამ ქვეყნად“--ამბობს იგი 1830 წელს დაწერილ ლექსში მიესალმება რა ივლისის რევოლუციას საფრანგეთში. ლერმონტოვი ოცნებობს, რომ რუსეთშიც შორს აღარაა სახალხო აჯანყება—დღე „ოდეს ძირს დაეცემა მეფეთა გვირგვინი“, როდესაც მთელ ჩვენს ქვეყანას შემოუვლის „მძლავრი ადამიანი“ „ამაღლებული შუბლით“ და „ხელში მახვილით“.

პუშკინსა და ლერმონტოვს ერთნაირი პოზიცია ეჭირათ მაღალი საზოგადოების, ე. ი. იმ კლასობრივ-საზოგადოებრივი წრის (მეფის კარი, თავად-აზნაურობის მმართველი ზედაფენა, არისტოკრატია) მიმართ, რომელშიც ორივენი ტრიალებდნენ. ეს იყო სიძულვილის, დაგმობის, განუწყვეტელი ხან საიდუმლო, ხან აშკარა გამძაფრებული ბრძოლის პოზიცია. ორივე პოეტი დაეცა ამ ბრძოლის მსხვერპლად, უდროოდ ტრაგიკულად დაიღუპა მეტად მსგავს პირობებში. მათი სიძულვილი თვითმპყრობელობისადმი ერთნაირი იყო. ამით აიხსნება ის უდიდესი ძალა, რომელიც მიენიჭა ლერმონტოვის ლექსს, დაწერილს პუშკინის სიკვდილზე. მტრები, რომლებმაც ბოლოს პუშკინი მოჰკლეს—მეფის კარი, არისტოკრატია,—იყვნენ აგრეთვე ლერმონტოვის მოსისხლე მტრებიც. სწორედ ამან გახადა ლერმონტოვი თავის ლექსებში იმ დროის ყველაზე უფრო პროგრესიული, მოწინავე წრეების განწყობილებათა გამომხატველად. პირადი ტკივილი და მწუხარება დიდი ლიტერატურული დანაკარგის გამო მან აიყვანა მძლავრი სოციალ - პოლიტიკური პროტესტის სიმაღლეზე, მისი სიკვდილის გამო დაწერილი ლექსი აქცია ჩვენი პოეზიის ერთერთ ყველაზე ძლიერ, „ლაღ“ ლექსად.

ლერმონტოვისა და პუშკინის სისხლხორცეულმა იდეურმა სიახლოვემ განაპირობა მათი ლიტერატურული გზის მსგავსება და ის [illegible] კავშირი, რომელიც არსებობს ლერმონტოვის შემოქმედებასა და მისი უფროსი თანამედროვის დიად შემოქმედებითს გამოცდილებას შორის. ამ კავშირს თავიდანვე გრძნობდნენ ლერმონტოვის ყველაზე გულისხმიერი და გამჭრიახი კრიტიკოსები.

მათს შეგნებაში ლერმონტოვი პუშკინის უშუალო განმგრძობი, „მემკვიდრე“ იყო. „ჩვენ ვუყურებდით მას, როგორც პუშკინის მემკვიდრეს“,—სწერდა ბელინსკი.

ლერმონტოვის შემოქმედებითს განვითარებაში პუშკინის გავლენას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. პუშკინის პოეზია ლერმონტოვისათვის უმაღლესი მხატვრული სრულყოფის სკოლა იყო.

ჭაბუკი ლერმონტოვი განსაკუთრებით აფასებდა პუშკინს, როგორც სამხრეთის რომანტიული პოემების ავტორს, ამასთან მათი გადმოცემის დროს იგი უფრო მეტად ამუქებდა რომანტიულ ფერებს. ლერმონტოვის შემოქმედებითს ზრდასთან ერთად სულ უფრო-და-უფრო დიდი მნიშვნელობა ეძლევა მისთვის პუშკინის, როგორც დიდი მხატვარი-რეალისტის, შემოქმედებას. პუშკინის შემოქმედების ეს მხარე განსაკუთრებით დიდ გავლენას ახდენს ლერმონტოვზე მისი იდეურ-მხატვრული განვითარების ერთერთ გარდამტეხ მომენტში — რომანტიზმიდან „სინამდვილის პოეზიაზე“ გადასვლის პერიოდში. ამ გზაზე ლერმონტოვი ხელმძღვანელობს პუშკინის „ევგენი ონეგინით“. „იგი თაყვანს სცემს პუშკინს, —მოგვითხრობს ბელინსკი თავის საუბარს ლერმონტოვთან საპატიმრო სახლში, 1840 წ.,—და ყველაზე მეტად ონეგინი უყვარს“.

ლერმონტოვის შემოქმედებითი ურთიერთობა პუშკინის „ლექსად თქმულ რომანთან“ სულ სხვადასხვა სახეს იღებს. „ხაზინადრის ცოლში“ ლერმონტოვი შესანიშნავად ეუფლება ონეგინის ფორმას—ეგრეთწოდებულ „ონეგინურ სტროფს“. დაუმთავრებელ პოემაში „საშკა“ იგი ცდილობს განახორციელოს თავისი დიდხნის ნაფიქრი—შეჰქმნას „თანამედროვე ადამიანის“ ტიპური სახე პუშკინის ონეგინის მსგავსად. ბოლოს, „ჩვენი დროის გმირში“ პუშკინის ამავე რომანის შემწეობით იგი ამთავრებს ნამდვილი ტიპური თანამედროვე გმირის—თანადროულობის ცენტრალური პირის ძებნის ხანგრძლივსა და ძნელ პროცესს,—პეჩორინის სახით ანხორციელებს „თანამედროვე ადამიანის“ განვითარების ახალ საზოგადოებრივ-ისტორიულ ფაზას, იძლევა 30-იანი წლების ონეგინს.

მაგრამ ამასთან ერთად პეჩორინი მარტო „ონეგინის უმცროსი ძმა“ როდია. პეჩორინის სახით ლერმონტოვი იძლევა თავისებურ აპოლოგიას—დაცვას თანამედროვე ადამიანისა, რომელსაც პუშკინმა საკმაოდ მკაცრი განაჩენი გამოუტანა. ლერმონტოვი სრულებითაც არ უმალავს არც თავისთავს, არც მკითხველებს პეჩორინის უარყოფით თვისებებს: მის ეგოიზმს, სულიერ სიცარიელეს, იმ „უსაზღვრო ძალების“ გამოყენების უუნარობას, რომლებითაც იგი დაჯილდოებულია ბუნებით. მაგრამ ამასთან ერთად ლერმონტოვი პეჩორინს ანიჭებს ნამდვილ გმირულ თვისებებს.

პუშკინის შემოქმედებასთან მემკვიდრეობით და განუყრელად დაკავშირებულია ლერმონტოვის მოწიფებული ლირიკა. მის მთელ რიგ ლექსებში ვხვდებით პუშკინის პოეზიის სახეებისა და მოტივების პირდაპირ გაგრძელებასა და განვითარებას.

მაგრამ ლერმონტოვის ლექსების კავშირი პუშკინის ლექსებთან უფრო ხშირად შებრუნებული ხასიათისაა. პუშკინის შემოქმედებაში, მიუხედავად ყველა ტკივილის, წყენისა და შეურაცხყოფისა, გერცენის თქმისა არ იყოს, „მაინც არ სწყვეტს ქნარას სიმი“ ალექსანდრეს დროისა—სიმი იმ მაღალი საზოგადოებრივი აღმავლობის პერიოდის მხნე ოპტიმიზმისა, რომელიც უშუალოდ უსწრებდა წინ 1825 წლის 14 დეკემბერს. ლერმონტოვი, რომლის პოეტური მოღვაწეობა მიმდინარეობდა მთავრობის რეაქციის ერთერთ ყველაზე მძიმე პერიოდში, რომელიც დამყარდა დეკაბრისტების დასჯის შემდეგ, დაჟინებით და მტკიცედ აწარმოებს პოლემიკას სიმის ამ ჟღერასთან.

ხშირად ეს პოლემიკა მკვეთრ ხასიათს ატარებს. ლერმონტოვი იღებს პუშკინის მზა პოეტურ ფორმულებს, მაგრამ მათ პირდაპირ საწინააღმდეგო მიმართულებას აძლევს. პუშკინის „ჰოს“ იგი უპირისპირებს მტკიცე „არას“. „წინ ვიცქირები უშიშრად,—აცხადებს პუშკინი 1827 წლის ცნობილ „სტანსებში“. „ვუცქერ მომავალს შიშით“. — უპასუხებს ლერმონტოვი ლექსში, რომელიც დაწერილია ათი წლის შემდეგ, პუშკინის სიკვდილის წელს.

„ცაში რაც იყო, როდი მძულდა მე ყველაფერი
და ქვეყანაზე მე ყველაფრის არ ვიყავ მტერი“.

ამბობს პუშკინის დემონი. ლერმონტოვის დემონს კი:

„რასაც კი მისი თვალი სწვდებოდა,
ან სძულდა, ანდა ეზიზღებოდა“.

ლერმონტოვის შემოქმედებას აქვს კიდევ ერთი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი თვისება, რომლითაც იგი პუშკინის შემოქმედებას მეტად უახლოვდება და უნათესავდება. ეს თვისებაა ხალხისაკენ, ხალხური შემოქმედებისაკენ მიდრეკილება.

ხალხის შემოქმედებისადმი უდიდესი ინტერესი ჭაბუკობიდანვე იმჩნევა ლერმონტოვს. თხუთმეტი წლის პოეტი გულისტკივილით სწერდა თავის დღიურში: „როგორ მწყინს, რომ ჩემი გადია გერმანელი იყო და არა რუსი — მე არ გამიგონია ხალხური ზღაპრები; — მათში, ალბათ, უფრო მეტი პოეზიაა, ვიდრე მთელს ფრანგულ სიტყვიერებაში“ და აქვე დასძენდა: „თუ ოდესმე ხალხურ პოეზიას მოვკიდე ხელი, ალბათ მას მხოლოდ რუსულ სიმღერებში მოვძებნი“.

ხალხური პოეზიისადმი ლერმონტოვის ინტერესი სჩანს მისი შემოქმედების სხვადასხვა წლებში, იგი თავს იჩენს ხან თათრებთან ტყვეობაზე შესანიშნავი ხალხური სიმღერის ჩაწერაში, ხან ფოლკლორული მოტივების ლიტერატურულ დამუშავებაში, მაგრამ ხალხური შემოქმედებით ლერმონტოვი განსაკუთრებული ძალით გაიმსჭვალა 1837 წელს, რაც გამოავლინა პოემაში „სიმღერა ვაჭარ კალაშნიკოვზე“. „სიმღერას“ ლერმონტოვი სწერს კავკასიაში გადასახლების დროს, პუშკინის სიკვდილის შემდეგ. უდიდესი ნაციონალური რუსი მწერლის სიკვდილის გამო მწუხარებას და შეძრწუნებას ლერმონტოვი აქარწყლებს იმით, რომ ეზიარება ხალხის სულის დაუშრეტელ ძალას, ხალხური შემოქმედების საგანძურს.

ოთხი წლის შემდეგ, თავისი სიკვდილის წელს, ლერმონტოვი სწერს თავის ერთერთ ყველაზე შესანიშნავ ლექსს „სამშობლო“. მასში ლაპარაკია სამშობლო მიწაწყალზე, მისი უზარმაზარი თვალუწვდენელი ველებით, მისი უნაპირო ტყეების რხევით, ზღვების მსგავსი მდინარეებით. ლექსი აღსავსეა ხალხისა და მისი ყოფაცხოვრებისადმი, სოფლის უბრალო პეიზაჟისადმი სიყვარულით.

არა მარტო მაღალ საზოგადოებაში, არამედ საზოგადოდ მის გარშემო მყოფ საზოგადოებრივ წრეში პოეტი, როგორც წინასწარმეტყველი, მისი ამავე სახელწოდების ლექსში ვერ პოულობდა ვერც გამოხმაურებას, ვერც სიხარულს. გაქარწყლება მისი ტკივილისა და წყენისა, დახმარების გაწევა იმ „მძიმე სკეპტიციზმის“ დაძლევაში, რომელიც, გერცენის სიტყვით, პოეტს ტვირთად აწვა, შეეძლო მიწის, ხალხის შეხებას. დამახასიათებელია, რომ ამ გზასაც ლერმონტოვს უნათებდა პუშკინის მზის სხივები.

სწორედ ასეთივე გარდატეხა ათი წლით ადრე — ოცდაათიანი წლების მიჯნაზე მოხდა პუშკინშიც. პუშკინიც „ონეგინის მოგზაურობის“ შესანიშნავ სტრიქონებში აცხადებს რომანტიული ეგზოტიკის უარყოფას, გვიხატავს სამშობლო რუსეთის სივრცეების უბრალო ბუნებას, მშობლიური ხალხის ყოფაცხოვრების საყვარელ სურათებს.

ბელინსკი პუშკინს ადარებდა ზღვას, რომელსაც ერთვის ყველა მდინარისა და ნაკადულის წყალი, რომელმაც შეითვისა ჩვენი წინა პერიოდის ლიტერატურის ყველა დიდი და პატარა მოვლენა. ლერმონტოვის წინაშე იყო არა მარტო მდინარეები და ნაკადულები; მის წინ გადაიშალა პუშკინის თვალუწვდენელი ზღვა. ლერმონტოვი პუშკინის ნამდვილი „მემკვიდრეა“. ჩვენი ლიტერატურა მას კვლავ მიჰყავს წინ იმ ძირითადი გზით, რომელზედაც იგი პუშკინმა დააყენა, ისიც განაგრძობს იმ ისტორიული ამოცანების გადაჭრას, რომლებიც პირველად შეიცნო და გადასჭრა პუშკინმა, ესენია: „სინამდვილის პოეზიის“ — დიადი ნაციონალური რეალისტური ლიტერატურის შექმნა; ლიტერატურის მიბრუნება ხალხური შემოქმედების საგანძურისაკენ; თანადროულობის მხატვრული განხორციელება „დროის გმირის“ — ეპოქის ცენტრალური, ტიპური პირის სახით.

ლერმონტოვის საზოგადოებრივ-ისტორიულმა სიახლოვემ პუშკინთან ძირითადად განაპირობა მათი იდეურ-მხატვრული განვითარების მსგავსება. მხატვრულ-შემოქმედებითი გამოცდილება პუშკინისა, რომელიც ლერმონტოვს ქრონოლოგიურად წინ უსწრებდა, დიდ დახმარებას უწევს უკანასკნელს მის საკუთარ შემოქმედებითს გზაზე. ამ გზის ყველაზე კრიტიკულ მომენტში ლერმონტოვი უცვლელად მიმართავს პუშკინს შემოქმედებითი დახმარებისათვის და მის შემოქმედებაში იგი იძენს ახალ მითითებებს, ახალ ძალებს, ახალ იმპულსებს თავისი საკუთარი გენიალური მხატვრული შედევრების შესაქმნელად.

◆

---

* იბეჭდება მცირე შემოკლებით

ჩემბერლენის განცხადება თემთა პალატაში

ლონდონი, 9 ოქტომბერი (საქდესი). რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ დღეს თემთა პალატის სხდომაზე ლეიბორისტმა ჰენდერსონმა მიმართა მთავრობას შეკითხვით, აპირებს თუ არა მთავრობა სპეციალური განცხადების გამოქვეყნებას ომის მიზნების შესახებ? შეკითხვაზე პასუხი გასცა ჩემბერლენმა, რომელმაც განაცხადა, „საფრანგეთისა და ინგლისის მთავრობები სავსებით შეთანხმებული არიან იმ მიზნების შესახებ, რომელთა მისაღწევადაც ინგლისმა და საფრანგეთმა ომი დაიწყეს. ომის ამ მიზნების შესახებ ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობებს უკვე არაერთხელ განუცხადებიათ. ეჭვი არ არის, რომ შემდგომში ორივე მთავრობა განიხილავს, საჭიროა თუ არა უფრო ზუსტი განცხადება გააკეთონ ომის მიზნების შესახებ. ასეთი განცხადება მხოლოდ მას შემდეგ მოხდება, რაც ამ საკითხში ორივე მთავრობა შეთანხმდება“.

ლოიდ ჯორჯის სტატია

ლონდონი, 9 ოქტომბერი (საქდესი). გუშინ გაზეთ „სანდეი ექსპრესში“ გამოქვეყნდა ლოიდ ჯორჯის სტატია, სადაც იგი ახლანდელ ომს ახასიათებს, როგორც „წინასწარ შეტაკებებს“. შეიძლება კაცმა იფიქროს, სწერს ლოიდ ჯორჯი, რომ ინგლისმა და საფრანგეთმა, ალბათ, ძალიან გვიან გაიგეს, რომ შეუძლებელი იყო პოლონეთის ხსნა გერმანიის ძალებისაგან, რომლებიც პოლონეთისას სჭარბობდნენ და ამიტომ გადასწყვიტეს სამხარ ოპერაციებში მარტო თავდაცვას დასჯერებოდნენ. „ასეთ შემთხვევაში, — სწერს ლოიდ ჯორჯი, — მე პირდაპირ ვერ გამიგია, როგორ შეუძლია მთავრობას იმედი იქონიოს, რომ წარმატებით დაამთავრებს ომს სამი წლის განმავლობაში?“.

შემდეგ ლოიდ ჯორჯი ხაზგასმით აღნიშნავს: არ მოიპოვება საკმარისი საფუძველი იმისათვის, რომ უარი ვთქვათ სახელმწიფოთა კონფერენციის მოწვევაზე ნეიტრალური სახელმწიფოების ჩათვლით, რათა შესწავლილ იქნას შესაძლებლობა სამართლიანი და მტკიცე ზავის შეკვრისა, რომელიც გარანტირებულ იქნებოდა ამ ხელშეკრულების მონაწილე დიდი სახელმწიფოების მიერ. ლოიდ ჯორჯი მოითხოვს ინგლისის მთავრობისაგან, რათა იგი არ გამოვიდეს მტკიცე და მოუაზრებელი უარით, რომელიც მხოლოდ ჩამოიშორებს საზოგადოებრივ აზრს.

რაკი რუსეთი აყენებს ომის შეწყვეტის საკითხს, განაგრძობს ლოიდ ჯორჯი, სერიოზული შეცდომა იქნებოდა ამ წინადადებაზე უარის თქმა.

ლოიდ ჯორჯი შემდეგ სწერს: „ამერიკის რესპუბლიკის პრეზიდენტს რომ საერთაშორისო კონფერენცია მოეწვია, ვერცერთი მეომარი სახელმწიფო ვერ უარჰყოფდა ამ მოწვევას, ვინაიდან ამით წინადადების უარმყოფ ქვეყანას დაჰგმობდა ყველა ნეიტრალური სახელმწიფო. განხილულ უნდა იქნას ყველა საკითხი, რომელსაც შეუძლია საერთაშორისო შეშფოთება გამოიწვიოს. ჰიტლერმა აღნიშნა ზოგიერთი ამ პრობლემათაგანი — განიარაღება, კოლონიები, პოლონეთის სახელმწიფოს საკითხი. ჩვენც გვაქვს უფლება განსახილველად წამოვაყენოთ სხვა საკითხები, რომელთაც აგრეთვე არსებითი მნიშვნელობა აქვთ მშვიდობიანობის უზრუნველყოფისათვის“.

საჰაერო ბრძოლა ჩრდილოეთის ზღვის რაიონში

ლონდონი, 9 ოქტომბერი (საქდესი). დღეს გამოქვეყნებული ცნობის თანახმად, 8 ოქტომბერს ჩრდილოეთის ზღვის რაიონში მომხდარი საჰაერო ბრძოლის დროს ინგლისის მზვერავმა თვითმფრინავებმა ჩამოაგდეს გერმანიის მფრინავი ნავი. ინგლისს ზარალი არ მოსვლია.

ლიტველი აგრონომი მიცკისი სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის შესახებ

კაუნასი, 9 ოქტომბერი (საქდესი). ლიტველმა აგრონომმა მიცკისმა, რომელმაც ინახულა სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენა მოსკოვში, ლიტვის გაზეთებში მოათავსა მთელი რიგი წერილები სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის შესახებ.

„ცნობილია, — სწერს მიცკისი, — რომ მეფის რუსეთი ყოველმხრივად ჩამორჩენილი ქვეყანა იყო. სოფლის მეურნეობაში მაშინ დამუშავებული იყო 367 მილიონი ჰექტარი მიწა, რომელთაგან 152 მილიონი ეკუთვნოდა მემამულეებს, მეფის ნათესავებსა და მონასტრებს. გლეხებს მეტად პრიმიტიული მეურნეობა ჰქონდათ. შრომის ძირითადი იარაღი ხის სახნისი იყო. ჯერ კიდევ 1910 წელს რუსეთში 7 მილიონზე მეტი ხის სახნისი იყო. გლეხების მესამედ ნაწილს არ ჰყავდა ცხენი, ხოლო მეორე მესამედს არ გააჩნდა საჭირო ინვენტარი, გლეხების 15 პროცენტს არ ჰქონდა თესლეული. გლეხების მთელი ეს მასა ნახევრად მშიერი, დაკონკილი, ფეხქალამნიანი, უბადრუკად ცხოვრობდა“.

ლაპარაკობს რა სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის მიღწევების შესახებ, მიცკისი აღნიშნავს, რომ ყველაფერი ის, რაც გაკეთებულია ამჟამად საბჭოთა კავშირში, გაკეთებულია საბჭოთა ხალხის მიერ. ავტორი აღნიშნავს კოლექტივიზაციის დიდ წარმატებას და იმ დიდ ყურადღებას, რომელსაც საბჭოთა მთავრობა აქცევს საკოლმეურნეო და საბჭოთა მეურნეობების მშენებლობას. მიცკისი განსაკუთრებით აღნიშნავს, რომ 1938 წელს სახნავი მიწების ფართობი სსრ კავშირში, 1913 წელთან შედარებით, თითქმის 32 მილიონი ჰექტარით გადიდდა. „საბჭოთა მთავრობამ ორი ხუთწლედის განმავლობაში შესძლო წინათ უნაყოფო მიწები ნაყოფიერ მასივებად გადაექცია. ტექნიკური კულტურების ფართობი 1930 წელთან შედარებით, ერთი-ორად გაიზარდა. ყველაფერი ეს საბჭოთა კავშირის სოფლის მეურნეობის ინტენსიური განვითარების მაჩვენებელია.

ჩამორჩენილი, ბნელი სოფლის ნაცვლად, — სწერს დასასრულ მიცკისი, — იზრდება ახალი საკოლმეურნეო სოფელი თანამედროვე ტექნიკური შეიარაღებით, კლუბებით, რადიოთი, კინოთი, სკოლებით, საავადმყოფოებით და სხვ. საბჭოთა ხელისუფლებამ ორი ათეული წლის განმავლობაში გააკეთა ის, რასაც გლეხები ვერასოდეს ვერ მიაღწევდნენ მეფის რუსეთის პირობებში“.

დასავლეთის ფრონტზე

ნიუ-იორკი, 9 ოქტომბერი (საქდესი). როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტო პარიზიდან იუწყება, 6 ოქტომბრიდან დაწყებული, საფრანგეთის ჯარი შეუდგა ფართო სამხედრო ოპერაციებს საარის ფრონტზე. საფრანგეთის ქვეითი ჯარი შუაგულ ფრონტში შედის. გერმანიის არტილერია გაძლიერებით უშენს საფრანგეთის ჯარს.

○

ლონდონი, 9 ოქტომბერი (საქდესი). როგორც რეიტერის სააგენტო იუწყება, ის გარემოება, რომ გერმანიის ჯარი მოზელის სექტორში აქტივობას განაგრძობს, იმ მნიშვნელობის მომასწავებელია, რომელსაც გერმანიის უმაღლესი სარდლობა ანიჭებს საფრანგეთის ჯარის წინსვლას ამ სექტორში. ეს სვლა საფრთხეს უქმნის გერმანიის იმ პოზიციების მარჯვენა ფრთას, რომლებიც საარის ქვანახშირის აუზზე გადიან. სამ დღეს გაგრძელებულ საარტილერიო სამზადისის შემდეგ გერმანიის ქვეითმა ჯარმა მოახდინა რამდენიმე შეტევა, რომლებიც ფრანგებმა ტყვიამფრქვევებით მოიგერიეს. ეს შეტევა იმას მოწმობს, რომ გერმანიის გენერალური შტაბი ისწრაფვის დაიბრუნოს ფრანგების მიერ დაკავებული პოზიციები.

ამერიკის შეერთებული შტატების პოზიცია

ნიუ-იორკი, 9 ოქტომბერი (საქდესი). როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტო იუწყება, ამერიკის სენატში გადიდდა იმ სენატორების რიცხვი, რომლებიც მხარს უჭერენ იმას, რომ რუზველტმა იკისროს ევროპის მეომარ სახელმწიფოთა შორის დროებითი ზავის ჩამოგდების ინიციატივა. დემოკრატმა სენატორმა ჯონსონმა (კოლორადოს შტატიდან) განაცხადა, რომ „შუამავლობა ევროპის ომში დიდად საპატიო საქმეა პრეზიდენტისათვის“.

დემოკრატმა სენატორმა უილერმა (მონტანის შტატიდან) აღნიშნა, რომ „რუზველტს ხელსაყრელი შესაძლებლობა ეძლევა სამსახური გაუწიოს კაცობრიობას და გაჟლეტისაგან იხსნას მილიონობით ადამიანები. თუ ინგლისი და საფრანგეთი ჯიუტობას დაიწყებენ და ეცდებიან აღადგინონ პოლონეთის ყოფილი მთავრობა, — ეს იმის მომასწავებელი იქნება, რომ ომი მთელ აღმოსავლეთ ნახევარსფეროს მოედება, რაც დემოკრატიულ ქვეყნებს აურაცხელ უბედურებას მოუტანს. მე ვფიქრობ, რომ ამერიკელთა 99 პროცენტი მიესალმება რუზველტის ინიციატივას, რომლის მიზანი იქნებოდა დროებითი ზავის გამოცხადება და უაზრო ომის შეწყვეტა“.

დემოკრატმა სენატორმა ტომასმა (იუტახის შტატიდან) განაცხადა, რომ რუზველტმა სერიოზულად უნდა განიხილოს ბერლინის წინადადება.

დემოკრატმა სენატორმა ო'მახონიმ (ვაიომინგის შტატიდან) აღნიშნა, რომ „ამერიკის შეერთებულ შტატებს შეუძლიათ ყოველივე შესაძლებელი გააკეთონ ევროპაში მშვიდობიანობის დასამყარებლად. მაგრამ ამერიკის შეერთებულ შტატებს არ შეუძლია იკისრონ პასუხისმგებლობა ამ მშვიდობიანობის პირობებისათვის“.

სენატის საგარეო საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ რუზველტმა უყოყმანოდ უნდა „წამოაყენოს სათანადო წინადადება“, მაგრამ ამავე დროს იგი უნდა ერიდოს, რომ „ძალიან დიდი პასუხისმგებლობა“ არ დაიკისროს.

დემოკრატმა სენატორმა მაკ-კარანმა (ნევადის შტატიდან) განაცხადა, რომ რუზველტმა თავიდან უნდა აიცილოს თავის დროზე პრეზიდენტ ვილსონის მიერ დაშვებული „უდიდესი შეცდომა, რაც გამოიხატა სამშვიდობო კონფერენციაში აქტიური მონაწილეობით“.

შეიარაღების სამინისტრო საფრანგეთში

როგორც ცნობილია, 14 სექტემბერს საფრანგეთის რეორგანიზებულ მთავრობაში შექმნილია შეიარაღების ახალი სამინისტრო. ამ სამინისტროს მინისტრად დანიშნული იყო რაულ დოტრი, სახელმწიფო რკინიგზების ყოფილი მთავარი დირექტორი. ბიულეტენ „ინტერავიას“ ცნობით, რომელიც შვეიცარიაში გამოდის, საფრანგეთის შეიარაღების სამინისტროს მოვალეობაში შედის არა მარტო იარაღითა და სამხარი მასალით არმიის მომარაგება, არამედ აგრეთვე ნაციონალური მრეწველობის მომარაგება ნედლეულითა და ნახევარფაბრიკატებით. ახალმა სამინისტრომ უნდა იმუშაოს მჭიდრო კონტაქტში სამხედრო და საზღვაო სამინისტროებთან. საავიაციო მრეწველობა მაინც რჩება სავსებით დამოუკიდებელი, იგი ავიაციის სამინისტროს ექვემდებარება. საავიაციო მრეწველობის სათავეში ჩაყენებულია ალბერ კაკო.

9 ოქტომბერი (საქდესი).

კანადა და ევროპის ომი

ლონდონი, 9 ოქტომბერი (საქდესი). გაზეთ „დეილი ტელეგრაფ ენდ მორნინგ პოსტის“ კორესპონდენტი მონრეალიდან იუწყება, რომ კანადის ოფიციალური წრეების ცნობის თანახმად, კანადას განზრახული აქვს საფრანგეთს გაგზავნოს თავისი ჯარი.

საგანგებო ღონისძიებანი ფინეთში

ჰელსინკი, 8 ოქტომბერი (საქდესი). ფინეთის მთავრობა კვლავ განაგრძობს საგანგებო ღონისძიებათა მიღებას. კერძოდ, რესპუბლიკის პრეზიდენტმა სეიმს განსახილველად გადასცა კანონპროექტი ომის დროს ცხენებისა და საჰაერო ტრანსპორტის კონფისკაციის შესახებ. კანონპროექტი უფლებას ანიჭებს სამხედრო ხელისუფლებას ჩამოართვას ცხენები კერძო მფლობელთ ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე.

გამოიცა აგრეთვე დადგენილება, რომლითაც უცხოელთა სავაჭრო გემებსა და თვითმფრინავებზე ფინეთში ყოფნის დროს აკრძალულია რადიოგადამცემებით სარგებლობა.

პრეზიდენტმა დაამტკიცა რესპუბლიკის დაცვის საგანგებო კანონი, რომელიც ამ ახლო ხანში მიიღო სეიმმა.

თბილისის მე-107 საშუალო სკოლის მეექვსე კლასის მოსწავლეებმა (მარცხნიდან) მ. ჩხეიძემ, ლ. ჰუჭულაშვილმა, კ. ლავრენტაშვილმა და მ. აბაშიძემ ოქტომბრის რევოლუციის XXII წლისთავთან დაკავშირებით აიღეს ვალდებულება შეისწავლონ სამხედრო საქმე „ფრიადზე“ და ისწავლონ „კარგზე“ და „ფრიადზე“.

ფოტო კვირიკაშვილისა (საქდესის ფოტოქრონიკა).

საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელო

აკადემიკოს ნიკო მარის სახელობის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტი მოკლე ხანში დაამთავრებს დიდ კაპიტალურ ნაშრომს — საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოს, რომელიც განკუთვნილია სკოლების V, VI და VII კლასებისათვის. სახელმძღვანელოს ავტორებია აკადემიკოსი ი. ჯავახიშვილი, პროფ. ს. ჯანაშია, პროფ. გ. ხაჭაპურიძე და ნ. ბერძენიშვილი.

სახელმძღვანელოს შედგენაზე მუშაობა დაიწყო 1936 წელს. საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოს ავტორებმა საფუძვლად დაუდეს „შენიშვნები სსრ კავშირის ისტორიის სახელმძღვანელოს კონსპექტის გამო“ და „შენიშვნები ისტორიის ახალი სახელმძღვანელოს კონსპექტის შესახებ“, სადაც ამხანაგმა **სტალინმა, კიროვმა და ჟდანოვმა** ზუსტად განსაზღვრეს ისტორიის სახელმძღვანელოს შედგენის ამოცანები მარქსისტულ - ლენინური მეთოდის მიხედვით.

სახელმძღვანელოს ავტორებმა ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომლებთან ერთად დიდი მუშაობა ჩაატარეს, რათა სახელმძღვანელოში მოეთავსებინათ მეცნიერულად დადასტურებული და შემოწმებული ისტორიული ფაქტები. გამოკვლეულ იქნა მოსკოვის, ლენინგრადისა და საქართველოს არქივებში შენახული მასალები, შესწავლილ იქნა სომხური, ირანული და თურქული წყაროები, რომლებშიც მოიპოვებოდა ცნობები საქართველოს ისტორიიდან. თურქულ წყაროებს შორის ნაპოვნია მეტად საინტერესო საბუთი, რომელიც ეკუთვნის XVI - XVII საუკუნეებს და შეიცავს 400 გვერდს. საბუთებში მოყვანილია სამხრეთ საქართველოს მცხოვრებთა ხარკების, გადასახადების ნუსხა მას შემდეგ, რაც საქართველოს ეს ადგილები თურქებმა დაიპყრეს 1578 წელს.

დაწვრილებით იქნა შესწავლილი საქართველოში სხვადასხვა დროს შემოტანილი ლურსმული წარწერები, რომელნიც ამჟამად საქართველოს ტერიტორიაზე ინახებიან.

საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოს შექმნაში დიდი როლი ითამაშა აგრეთვე მატიანემ—„ახალი ქართლის ცხოვრება“. ეს შრომა დაწერილი იყო XVIII საუკუნეში მეფე ვახტანგ VI ინიციატივით. ეს ნაშრომი აღმოჩენილია აკადემიკოს ივ. ჯავახიშვილის მიერ და უახლოეს დროში დაიბეჭდება.

გარდა ამისა, დაწვრილებით იქნა შესწავლილი საკითხი საქართველოში ფეოდალური ურთიერთობის, ბატონყმობის არსისა და რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიის შესახებ. ყველა ამ საკითხებზე შედგენილია მონოგრაფიები.

სახელმძღვანელო შეიცავს საქართველოს ისტორიას VII საუკუნიდან (ჩვენს წელთაღრიცხვამდე) ჩვენი ეპოქის XX საუკუნემდე.

„ივან სუსანინი“ თბილისის ოპერის თეატრში

თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრის კოლექტივი შეუდგა მუშაობას ცნობილი კომპოზიტორის **მ. გლინკას** ოპერის „ივან სუსანინის“ დასადგმელად.

ოპერას სდგამს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ორდენოსანი რეჟისორი **შ. აღსაბაძე**. დადგმას მხატვრულად აფორმებს პროფ. **ი. შარლემანი**, მუსიკალურ ნაწილს ხელმძღვანელობს ორდენოსანი დირიჟორი **შ. აზმაიფარაშვილი**.

„ივან სუსანინის“ დადგმა გათვალისწინებულია დეკემბრის მეორე ნახევარში.

ფეხსაცმლის სწრაფი რემონტი

მოსკოვში გახსნილია ფეხსაცმლის სწრაფი რემონტის სახელოსნოები — „ამერიკანკები“, სადაც ყოველგვარი ფეხსაცმლის შეკეთება 10-15 წუთში სრულდება.

მოსკოვის მაგალითისამებრ საქართველოს სარეწაო საბჭო თბილისის სხვადასხვა რაიონებში აწყობს 7 მექანიზებულ სახელოსნოს, ფეხსაცმლის სწრაფი რემონტისათვის. სახელოსნოებში კლიენტებისათვის მოწყობილი იქნება მოსაცდელი კუთხეები.

თვითეული სახელოსნო დღეღამეში შეაკეთებს 400 წყვილ ფეხსაცმელს.

შემთხვევები

კომბინატორთა ჯგუფის ალაგმვა

მილიციამ დააპატიმრა თბილვაჭრობის საწყობის გამგე ა. ვ. ჩიკაშუა, რომელიც თბილვაჭრობის № 319 მაღაზიის გამგე ა. ვ. აღლაძესთან ერთად აწყობდა სხვადასხვა დანაშაულებრივ კომბინაციებს და ითვისებდა სახალხო დოვლათს. ჩიკაშუა მაღაზიის სახელზე გამოიწერდა ხოლმე სხვადასხვა სამრეწველო საქონელს. შემდეგ ამ საქონელს საწყობიდან გამოტანისთანავე კომბინატორები სადღაც ასაღებდნენ, ხოლო ფაქტურებს მაღაზიაში ინახავდნენ. მაღაზიის აღწერისას აღლაძეს გაფლანგული აღმოაჩნდა 16.000 მანეთი.

კომბინატორების საქმე გადაცემული აქვს სასამართლოს.

შ. ნ. დადიანის ნაწარმოებთა გამოცემა

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის გამომცემლობა „ფედერაცია“ შეუდგა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატის, ორდენოსანი მწერლის შ. ნ. დადიანის თხზულებათა ბეჭდვას.

შ. ნ. დადიანის ნაწარმოებნი გამოიცემა 6 ტომად. პირველ ორ ტომში შევლენ ბელეტრისტული ნაწარმოებნი, რომლებიც იბეჭდებოდნენ საქართველოს სხვადასხვა პერიოდულ გამოცემებში 1903-დან 1903 წლამდე. მესამე ტომში დაიბეჭდება რომანი „გიორგი რუსი“, მეოთხეში — მემუარული ხასიათის ნაწარმოებნი, მეხუთეში — წერილები ხელოვნებაზე, მეექვსე ტომში — რომანი „ურდუმი“.

შ. დადიანის თხზულებათა პირველი ტომი დაიბეჭდება და გამოვა ნოემბერში. (საქდესი).

თბილისის მუსიკალური სასწავლებლების გაერთიანებული სიმფონიური ორკესტრი

ხელოვნების საქმეთა სამმართველოს დადგენილებით თბილისის მუსიკალური სასწავლებლების საორკესტრო ფაკულტეტების მოსწავლეებისაგან შედგენილია სიმფონიური ორკესტრი. მასში ორმოცდაათამდე მოსწავლე მონაწილეობს. ორკესტრის მთავარ დირიჟორად მიწვეულია კომპოზიტორი შ. თაქთაქიშვილი. ორკესტრში იმუშავებს აგრეთვე დირიჟორი დ. მირცხულავა.

ანსამბლი წლის დაწყებამდე რამდენიმე სიმფონიურ კონცერტს ჩაატარებს. პირველი კონცერტის ჩატარება განზრახულია საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების XIX წლისთავთან დაკავშირებით.

სიმფონიური ორკესტრის რეპერტუარში შეტანილია შუბერტის, ჩაიკოვსკის, პუჩინის, გრიგის, მოცარტისა და სხვა კომპოზიტორების ნაწარმოებები, რომლებსაც შეასრულებენ მუსიკალური სასწავლებლის მოსწავლენი.

უკრაინის მძლეოსნები თბილისში

18-19 ოქტომბერს თბილისში ლ. პ. ბერიას სახელობის სტადიონზე შესდგება უკრაინისა და საქართველოს საუკეთესო მძლეოსანთა გუნდების შეხვედრა.

უკრაინის გუნდის შემადგენლობაში შედიან სსრ კავშირის ცნობილი სპორტსმენები: საკავშირო რეკორდსმენი ბირთვის კვრაში—კანაკი და ბადროს ტყორცნის ცნობილი ოსტატი ქალი სანიცკაია.

საქართველოს გუნდის შემადგენლობაში შედიან მსოფლიო რეკორდსმენი ნინო დუმბაძე, სსრ კავშირის რეკორდსმენი ათანელოვი, ძმ. დიაჩკოვები და სხვ.

○

დამთავრდა თბილისის უმაღლესი სასწავლებლების მძლეოსანთა გუნდების შეჯიბრება. პირველობა მოიპოვა თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდმა, რომლის მძლეოსნებმა ა. ქარცივაძემ, ჟუჟუნავამ და სხვებმა საუკეთესო შედეგებს მიაღწიეს.

მეორე ადგილზე გამოვიდა საქართველოს ინდუსტრიული ინსტიტუტის გუნდი, მესამეზე — თბილისის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტის გუნდი.

მძლეოსანთა შეჯიბრება

11, 12 და 13 ოქტომბერს ლ. ბერიას სახელობის სტადიონზე გაიმართება უძლიერეს მძლეოსანთა შეჯიბრება საქართველოს პირველობაზე. შეჯიბრებაში მონაწილეობას მიიღებენ თბილისის, ბათუმის, სოხუმის, ქუთაისისა და სხვა რაიონების მძლეოსნები.

დღეს კინოებში

რუსთაველის სახ. — „სევანის მეთევზეები“; **ოქტომბერი** — „ცეცხლოვანი წლები“; **დამკვრელი** — „სევანის მეთევზეები“; **კომკავშირელი** (საზაფხულო)— „უკანასკნელი ბანაკი“; **კომკავშირელი** (ზამთრის)—„მთის მარში“; **სპარტაკი** — „დიდი ქალაქის ჩირაღდნები“; **რ. ლუქსემბურგის სახ.** — „საზღვარზე“; **26 კომისრის სახ.** — „ცხარე დღეები“; **კომინტერნი**—„ვაჟკაცობა“.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ვ. ხატიაშვილი

თბილისის ზ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი

11 ოქტომბერს	12 ოქტომბერს	14 ოქტომბერს
მუდმ. ადგ. ტალ. № 16	მუდმ. ადგ. ტალ. № 17	მუდმ. ადგ. ტალ. № 18
სევილიელი დალაქი	ტრავიატა	ქეთო და კოტე

დასაწყისი 8 ს. აბონემენტებზე განაცხადთა მიღება და აბონემენტების გაცემა თეატრის სალაროში. სალარო ღიაა 11—4 ს. და 5—9 ს.

თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი

12 ოქტომბერს დილა
დილის სპექტაკლი აბონემენტის გარეშე დაკლებულ ფასებში
ზ. ფალიაშვილი
დაისი ოპერა 3 მოქმ.
დასაწყისი დღის 12 საათზე. 2—2

რუსთაველის სახელობის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი
1939-40 წ. სეზონი.

11/X	12/X	14/X
მუდმ. ადგ. ტალონი № 19	მუდმ. ადგ. ტალონი № 20	მუდმ. ადგ. ტალონი № 21
ოტელო	მთაგრეხილზე	შემოდგომის აზნაურები

სალარო ღიაა დღის 12 საათიდან საღამოს 9 საათამდე. დასაწყისი 8 საათზე.

ამხ. ბერიას სახ. კულტურის სახლი (1-ლი მაისის ქ. № 10 შესასვლელი ბერიას სახელობის მოედნიდან)
სახელმწიფო ოპერეტის თეატრის წარმოდგენა

11 ოქტომბერს	12 ოქტომბერს
პატარძლების ბაზრობა	უკანასკნელად ქორწილი მალინოვკაში

სამხ. ხელმძღვანელი ა. ნ. ოლგარი დასაწყისი საღ. 9 საათზე.
ბილეთების წინასწარ შეძენა დილის 11 ს-დან 3 ს-დე, საღ. 6 საათ. 11 ს.

თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაუსწრებელი პედგანყოფილება
აწარმოებს დამატებით მიღებას:
ისტორიის, საბუნებისმეტყველო, ფიზიკა-მათემატიკის და გეოგრაფიის ფაკულტეტების ქართულ, რუსულ, სომხურ და აზერბაიჯანულ სექტორებზე.

მიიღებიან მხოლოდ პედაგოგები.

განცხადებათა მიღება 15 ოქტომბრამდე, მისაღები გამოცდები იწარმოებს 15 ოქტომბრიდან 20 ოქტომბრამდე.

განცხადება შემოტანილ უნდა იქნას დაუსწრებელი პედგანყოფილების კანცელარიაში, მარის ქ. № 14.

400 თბ. სტალინის სახელობის სახ. უნივერსიტეტის რექტორი დ. ჟიჟიძე.

სახცირკი, ტელ. 3-11-44
12 ოქტომბერს ცირკის 12 ოქტომბერს
1939-40 წ. სეზონის გახსნა
დასაწყ. საღ. 8½ ს. სალარო 10 ოქტომბრიდან დღის 12 ს-დან 2 ს-დე და 5 ს-დან.

სახელმწიფო დაზღვევა



ყველა მოქალაქეს შეუძლია ნებაყოფლობითი წესით დააზღვიოს თავისი საოჯახო ქონება: ავეჯი, ტანისამოსი, თეთრეული, მუსიკალური ინსტრუმენტები, ექიმების, ინჟინრებისა და მეცნიერ მუშაკების კაბინეტების, კბილის სამკურნალო, სამედიცინო, ფიზიკური და სხვა მოწყობილობა და ინსტრუმენტები.

შეიძლება დაზღვეულ იქნას მთელი ქონება, ან, ქონების მფლობელის სურვილისამებრ, ცალკეული საგნები.

ქონება ითვლება დაზღვეულად ცეცხლისა, წყალდიდობისა, მიწისძვრისა და სხვა სტიქიური უბედურებისაგან.

დაზღვევა შეიძლება დაიდოს დაუთვალიერებლად ქონების მფლობელის სიტყვიერი განცხადების საფუძველზე შემდეგი თანხების ფარგლებში: ოჯახიანთათვის 10.000 მანეთამდე, მარტოხელთა—6.000 მანეთამდე ან განუსაზღვრელ თანხაში დათვალიერებისა და დასაზღვევი ქონების სიის შედგენის შემდეგ.

საოჯახო ქონების ნებაყოფლობითი დაზღვევის გადასახდელები საგრძნობლად შემცირებულია: ქალაქებსა და მუშათა დაბებში 1 მან.—4 მანეთამდე სადაზღვევო უზრუნველყოფის თანხის თვითეული 1.000 მან. (შენობის ცეცხლგამძლეობის მიხედვით), ხოლო სოფლად ადგილებში 2 მან.—4 მანეთამდე.

საოჯახო ქონების დაზღვევას აწარმოებენ სარაიონო (საქალაქო) ფინგანებთან არსებული სახდაზღვევის ინსპექციები და სახდაზღვევის აგენტები.

დაწვრილებითი ცნობები დაზღვევის პირობების შესახებ შეგიძლიათ მიიღოთ რაი (ქალაქის) ფინგანთან არსებულ სახდაზღვევის ინსპექციებში. 150

სახელმწიფო ცირკი, ტელ. 3-11-44

სახცირკის დირექცია აუწყებს ყველა ორგანიზაციას, რომ 1939-40 წლის სეზონისათვის მუდმივი (სეზონური) ადგილების შეძენაზე ხელშეკრულებანი დაიდება მხოლოდ ა. წ. 15 ოქტომბრამდე.

იმ ორგანიზაციებისათვის, რომლებსაც დადებული აქვთ ხელშეკრულებანი და გადარიცხული აქვთ სათანადო თანხები, ბილეთების გაცემა დაიწყება 9 ოქტომბრიდან. გაცემა იწარმოებს ყოველდღე დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 15 ს. 30 წ-მდე იმ პირობით, რომ აუცილებლად წარმოდგენილი იქნება მინდობილობა. 3—3

საქკურორტსნაბის საფაბრიკო-საქარხნო სკოლა
აგრძელებს მოსწავლეთა მიღებას 1939-40 სასწ. წლ.
სკოლას აქვს სამი განყოფილება: **პურისცხობის, საშაქარლამო და მაკარონის.**

სწავლის ხანგრძლივობა ერთი წელია.

მოსწავლეები უზრუნველყოფილი იქნებიან სტიპენდიით 65—100 მან. (სწავლის ხარისხის მიხედვით), ნაწილი მოსწავლეებისა დაკმაყოფილებული იქნება საერთო საცხოვრებლითაც.

სკოლის დასრულების შემდეგ მოსწავლეები დანაწილებული იქნებიან ქარხნებში და წარმოებებში: ლაბორანტებად, წუნმდებლებად და სხვა შესაფერის სამუშაოზე.

საჭიროა წარმოდგენილ იქნას შემდეგი საბუთები: 1. განათლების მოწმობა, 2. მეტრიკა, 3. ჯანმრთელობის ცნობა, 4. პასპორტი (პირადად).

სკოლის მისამართი: ნინოშვილის ქ. № 57, მე-46 სკოლის შენობაში. ცნობების მიღება შეიძლება საღამოს 6—9 საათამდე.

397 სკოლის დირექცია.

ექიმი
მძინარიშვილი

დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება. **სქესობრივი სისუსტე** (ელექტრონით მკურნალობა), კანის და ვენერიული სნეულებანი, ქალების და ბავშვთა გონორეა.

ავადმყოფების მიღება დილ. 8—10 საათამდე და საღამოს 7—9 საათამდე, ქალებისა და ბავშვების—საღამოს 6—7 საათამდე. გრიბოედოვის ქუჩა № 20, ბინა № 57 (მე-4 შესავალი, მე 2 სართული). 2875 5—2

დაკარგულია: სამხრეთ-ოსეთის მარცვლეულ კულტურათა ჯიშთა გამოცდის ნაკვეთის მრგვალი ბეჭედი ჩ. გ. 3394

სახუნტის ფსიქოლოგიური ლაბორატორიის თანამშრომლები: პროფ. დ. უზნაძე, რ. ნათაძე, ზ. ხოჯავა, ბ. ხაჭაპურიძე, ნ. ელიავა, ქ. მდივანი, ო. გურგენიძე, ც. ადამაშვილი, ე. კეჟერაძე, ქ. გაგუა იუწყებიან კაკო ავალიშვილის დედის

ანა ავალიშვილის

გარდაცვალებას. 3396

ბერიას სახელობის კულტურის სახლის თანამშრომლები გაბუნია, გვენეტაძე, კობახიძე, მღვდლიძე, გეურქოვა, ოსიპოვი, ჯინჭარაძე, ხოსრუაშვილი, ხუციშვილი, კავსაძე, ყიფიანი, წულუკიძე, ლუკიანოვა, ბახაბაშვილი, ფოცხვერაშვილი იუწყებიან სერგო პაპუაშვილის დედის

ბარბალეს

გარდაცვალებას. 3401

შვილები გიგუშა, დათა, მარგალიტა, რძლები თამარ, ვენერა შვილებით იუწყებიან, რომ 12/X 1 ს. ვაკის სასაფლაოზე დანიშნულია საყვარელი მამის, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის

სანდრო კავსაძის

სამოქალაქო პანაშვიდი. 3398

უახლოესი ამხანაგები ამაშუკელი, ქუთათელაძე, გუგუნავა, ლოლაძე, ფულარია, გეგენავა, კაჭარავა, ტორონჯაძე, ციოკაძე, ჯიქია, ბურდული იუწყებიან მათთვის დაუვიწყარი ამხანაგის

პეტრე ლუკას-ძე არჯევანიძის

გარდაცვალებას. 3406

მეუღლე ტრიფონ, შვილი ნინო, სიძე დუტუ მდივანი, შვილიშვილი ნანული იუწყებიან

ქრისტინე ალექსანდრეს-ასულ ჩხეიძის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 11/X 6 ს. გამოსვენება 12/X 5 ს. გორის, 24. დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე. 3400

შვილები სერგო და იეანე, რძალი საშა, შვილიშვილები თენიკ, თამილა პაპუაშვილები იუწყებიან საყვარელ

ბარბალეს (ბაბუცა)

გარდაცვალებას. დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. 3402

შვილები ნინო, ბარბალე, ელენე, თამარ, სიძეები ნიკოლოზ, გიორგი იუწყებიან, რომ 12/X 5 ს. კუკიის სასაფლაოზე დანიშნულია

ანა (ანიკო) სოლომონის-ასულ კანჯიაშვილის

პანაშვიდი. 3404

მშობლები ვერიჩკა, აპოლონ, დები მარო ქმარშვილით, აგრაფინა, კატო, თალიკო, ბიძა ეფროსინე შვილებით, სიძით, შვილიშვილებით, ბიძა ნიკო ცოლშვილით იუწყებიან

საშა ჯოხაძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 11/X ს. ბოსტანაში (ამბროლაური). 3399

საქ. სახდაზღვევის სამმართველო და ადგილკომი იუწყებიან ამავე სამმართველოს თანამშრომლის ვეტექიმ

პეტრე ლუკას-ძე არჯევანიძის

გარდაცვალებას. 3405

მამა ერა (ივანე), დედა ლუბა, და ციალა, ბიძა კოლია ოჯახობით ჩხაიძეები იუწყებიან

პატარა ვაჟას

გარდაცვალებას. გამოსვენება 12/X 4½ს. საბურთალოს, 44. კუკიის სასაფლაოზე. 3397

ძმა სეფე, რძალი ნატაშა, ძმისწულები ვალოდია, სერგო, ვალიკო, ალექსანდრე, გოგუცა, შუტუ, რძლები მარიამ, ლენა, მარგო ბურჭულაძეები იუწყებიან

ეფროსინე ბესარიონის-ასულ ბურჭულაძე-ალფაიძის

გარდაცვალებას. 3407

ნიკოლოზ და ბაბილინა პიპინაშვილები შვილებით კლავდიათი, ცაცათი, კოჩკათი, თინათი, რძლით, სიძით და შვილიშვილებით იუწყებიან კაკოს დედის

ანეტა ავალიშვილის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 12/X კიეხში. 3409

რედაქციისა და გამომცემლობის მისამართი: თბილისი, ლენინის ქუჩა № 28, ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის—3—06—67, პ.-მგ. მდივნის მოადგილისა—3—06—88, განყოფილებებისა: პარტიულის—3—57—61, პროპაგანდის და პრესის მიმოხილვის 3—81—84, სასოფლო-სამეურნეოს—3—73—40, საბჭოთა მშენებლობის და განათლება-ჯანმრთელობის 3—80—83, მრეწველობისა და ინფორმაციის—3—80—84, წერილების—3—73—24, პ.-მგ. მორიგის—3—81—65, გამომცემლობის— 3—51—81, სტამბის დირექტორის —3—77—70, ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ამხ. ს. თოდრიას სახელობის სტამბა „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 28.
მთავლიტის რწმუნებული ა—653